ISBN 978-9941-26-383-5

IX

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია,არქეოლოგია, ეთნოლოგია)
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები
South-West Georgia (history, archaeology, ethnology) International Scientific Conference materials

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება-საარქივო სამმართველო**

**Sub-department of Ajara Autonomous Republic Education, Culture
and Sport Ministry– Archives Administration**

# სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

## საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

# South-West Georgia (history, archaeology, ethnology)

## International Scientific Conference materials

*ISSN 2298-0776*

# IX

თბილისი – 2019 – **Tbilisi**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,**
**კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო**
**დაწესებულება-საარქივო სამმართველო**
**Sub-department of Ajara Autonomous Republic Education, Culture and Sport Ministry– Archives Administration**

# სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები**

# South-West Georgia (history, archaeology, ethnology)

**International Scientific Conference materials**

*ISSN 2298-0776*

# IX

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი – 2019 – **Tbilisi**

**სარედაქციო საბჭო:**

**მაია ივანიშვილი** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე;**

**თამაზ ფუტკარაძე** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი, **რედაქტორი.**

**სარედაქციო საბჭო: რამაზ ბოლქვაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე**, ანზორ თხილაიშვილი –** აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე**, ბესიკ ბაუჩაძე –** აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე**, ელგუჯა ჩაგანავა –** ანალიტიკურ-მეთოდიკური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი, **ელგუჯა გოგიბერიძე –** ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი**, ნონა ქარციძე –** ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**; ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ნატო ქიქავა –** საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **იოსებ ჯაფარიძე** – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; **თინათინ ჯაბადარი –** საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი, **თამილა ლომთათიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, **ოთარ გოგოლიშვილი –** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **ჯემალ კარალიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ციური ქათამაძე –** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**Editorial Board:**

**Maia Ivanishvili** – head of Sub-department of Ajara Autonomuous Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board;

**Tamaz Putkaradze** – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, **editor;**

**Editorial Board: Ramaz Bolkvadze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Anzor Tkhilaishvili** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Besik Bauchadze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Elguja Chaganava** – Head of analytical-methodological and working with territorial bodies service; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Nona Kartsidze** – Kutaisi State Historical Museum; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Josef Japharidze** –David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia; **Tinatin Jabadari** – senior specialist of Contemporary History Archives of National Archives of Georgia; **Tamila Lomtatidze** – research fellow of Niko Berdzenishvili scientific-research Institute; **Otar Gogolishvili** – professor of Shota Rustaveli State University; **Jemal Karalidze** – professor of Shota Rustaveli State University; **Tsiuri Katamadze** – professor of Shota Rustaveli State University.

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.
Authors style is retained.

**© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, 2019**

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

# ისტორია

*თამილა ლომთათიძე*

## *ქართული ემიგრაცია მეოცე საუკუნის 50-იან წლებში (სტამბულის ქართველთა სავანეში დაცული ნინო დადიანის წერილების მიხედვით)*

ქართველ კათოლიკეთა სავანე, მისი ბიბლიოთეკა და არქივი 1861 წელს დააფუძნა ახალციხელმა მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ერთ უბანში – ფერიქოიში (ანგელოზთა უბანში), სადაც მე-18 საუკუნეში ჩასახლება დაიწყეს ქართველმა კათოლიკებმა. აქედან მოყოლებული სავანე ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა საზღვარგარეთ არსებული ეროვნული ძალების შემაკავშირებელ ცენტრს. სტამბოლის ქართული მონასტრის საცავები ინახავს ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების პუბლიცისტური და პირადი ხასიათის წერილებს, მემუარული ჩანაწერებს, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს I რესპუბლიკის, ეროვნული მთავრობის სამსახურებრივი ბარათებს, მათი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს, ისტორიული წყაროებს. ისინი ასახავენ დღემდე უცნობ, თუ ნაკლებად ცნობილ ისტორიულ მოვლენებს. განსაკუთრებით ღირებულია გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული მასალები, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ტოტალიტარული რეჟიმის გამო, ამ პერიოდის ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა ნაკლებად იყო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. სტამბულის სავანე კი ამ პერიოდშიც ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ საყრდენსა და საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ამიტომაც აქ მრავლადაა დოკუმენტები, კერძო წერილები, ნაწარმოებთა ხელნაწერები, რომლებიც მე-20 საუკუნეში ქართული ემიგრაციის საქმიანობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის.

სტამბულს ქართული სავანის არქივი საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ საქართველოს ისტორიის ბევრი ცნობილი თუ უცნობი მივლენის ამსახველ დოკუმენტს ინახავს, არამედ იმითაც, რომ ამ მასალებმა წარმოაჩინა მრავალი ადამიანის სახელი, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდნენ ქართულ საქმეს და მთელ ცხოვრებას საქართველოზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებდნენ, პატარა საქმეების კეთებით დიდ, საერთოქართულ საქმეს აკეთებდნენ და თავის წილ სა-

ქართველოს პატრონობდნენ. სწორედ ასეთი ადამიანის – ნინო დადიანის რამდენიმე წერილი შემოინახა სტამბულის ქართული სავანის არქივმა და მრავალი საინტერესო ასპექტით წარმოაჩინა არა მხოლოდ თავად ეს ბრწყინვალე ქალბატონი, არამედ XX საუკუნის ქართული ემიგრაციის მრავალი პოლიტიკური თუ საზგადო მოღვაწე და მოვლენა.

ჩვენს ხელთაა 1954 წელს ნინო დადიანის მიერ მამა შალვა ვარდიძისათვის ჟენევიდან გამოგზავნილი ოთხი წერილი, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ქართული ემიგრაციის ცხოვრებისა და საქმიანობის საინტერესო ფაქტებს ინახავს და თავად ნინო დადიანზეც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ცოტა რამაა ცნობილი მის ცხოვრებაზე. ის ძალზე მწირი ცნობებიც ამ წერილებმა შემოგვინახა, მაგრამ მათში კარგად ჩანს, რომ ნინო დადიანი ძალიან ამაყობდა თავისი წარმომავლობით და ქონდა კიდეც საამაყო. დედის მხრივ მისი წინაპრები ყოფილან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა დაპყრობის შემდეგ გამაჰმადიანებული სულხანიშვილები. როგორც თავად წერს, „დიდედა ჩემი იყო ასული სულხან ბეგისა და დაი ფეიზულასი, გამაჰმადიანებულნი დაპყრობის შემდეგ. სულხანიშვილნი. კვლავ საქართველოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ მოინათლნენ. დიდედა ჩემი მონათლეს და შეაუღლეს პაპა ჩემს იოსებ ყიფიანს“. იოსებ ყიფიანი იყო დიმიტრი ყიფიანის ძმა. იოსებს სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყოლი, დიმიტრის – კი ორი ვაჟი. ბავშვები ფეხადგმულები იყვნენ, როცა იოსებს მესამე გოგონა შესძენია და ძმის თხოვნით იგი უშვილებია დიმიტრი ყიფიანისათვის, რომელსაც ვაჟიშვილები ჰყავდა. „დაბადებისთანავე პაპა დიმიტრიმ ხოჭიჭით წაილო დედა ჩემი და მონათლა მის სახელზე (მართა-მათიკო)”-ო, წერს ბებია ნინო თავის ერთ-ერთ წერილში. ამგვარად, დედის მხრიდან ბებია ნინო იყო დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი.

მამის მხრიდან ნინო იყო შვილიშვილი მოწამეობრივად აღსრულებული დეკანოზის ჩარკვიანისა, რომელიც იყო დ.ერისთავის პიესის „სამშობლო”-ს ერთ-ერთი გმირის გოგია დიაკონის პროტოტიპი. 1954 წლისათვის ნინო დადიანი იყო 76 წლის, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს „შესაფერ სამოცდა თექვსმეტი წლის ხნოვანებისა, გახლავარ მხნედ (45-50 წლისასი)”. მართლაც, მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობიდან კარგად ჩანს, რომ ასაკის მიუხედავად, იგი თავისი ცხოვრების არც ერთ წუთს არ კარგავდა უქმად და მთელ თავის ენერგიას სხვებზე ზრუნვას ანდომებდა. იგი იყო „საპატიო მზრუნველი დედაკაცი ომში დასახიჩრებულთა, ტყვეთა და ავადმყოფ ქართველთა”. ჰქონდა სათანადო მოწმობები, ასე გასინჯეთ, ე.წ. „ყოფილი მთავრობისაც” კი. თუმცა პარიზსა და ჟენევაში მას ბებია ნინოს

სახელით მოიხსენიებდნენ და ამ სახელს იგი აფასებდა „ყველა „ტიტულებზე“ მეტად და პატივით”, რადგან „ეს სახელწოდება მაქვს ნაწოდები გაჭირებასა შინა მყოფთ და მომაკვდავ თანამემამულეთა მიერ”. როგორც თავად აღნიშნავს, „არასდროს და არც დღეს არა ვარ წევრი არცერთი „პოლიტიკური პარტიისა”, თუმცა ბევრ გამოცდილ პოლიტიკოსზე უკეთ შეეძლო როგორც პოლიტიკური სიტუაციის შეფასება, ისე სამომავლო გზების დასახვა. ეს წერილები საინტერესო ცნობებს ინახავს ალექსანდრე მანველიშვილის[1] მიერ 1954 წლის იანვარში პარიზში დაარსებული „საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელი ლიგის” შესახებ.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ნინო დადიანის აზრი და მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, ჩანს იქედანაც, რომ ამ „ლიგის” დაარსებისთანავე, მის თავმჯდომარეს – ალექსანდრე მანველიშვილს გადაუგზავნია ბებია ნინოსათვის ლიგის წევრების სია და დამაარსებელთა ჯგუფში მონაწილეობაც უთხოვია. ამ მოვლენის შეფასებისას, 1954 წლის 17 აპრილით დათარიღებულ, მამა შალვა ვარდიძისადმი გაგზავნილ წერილში, კარგად ჩანს საოცარი პოლიტიკური ალღო, რომელიც ამ მხცოვან ქალბატონს ჰქონდა. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციის არც დამაარსებელთა და არც წევრთა შორის არ არის „სახელი მცოდნესი ან გამოცდილი პირისა” და წერს ალექსანდრე მანველიშვილს, რომელსაც თავის შვილობილს უწოდებს: „ცხვარი რო ცხვარია, იმასაც ერკემალი უძღვის. ერკემალია იგივე ცხვართაგანი, მხოლოდ აღჭურვილი გამოცდილებით, ჭკვიანი და წინდახედული, ღონიერი ყველაზე მეტად ყოველ მხრივ. ნუ მიწყენ, ჩემო შვილო, აღიარე, შენ ბევრი ღირსება გაქვს, უამრავი კარგი თვისებანი, მხოლო გაკლია ზოგადად ცოდნა და ძალიან გამოცდილება. მაშასადამე „ცხვარის” დონეს ბევრა არა ხარ ამაღლებული. სხვა ორ დაჯგუფებაში კი დაბერძიგნებული ერკემლები კი არა ყოჩები არიან; გამოცდილები პოლიტიკურ მუშაობაში; მოხედვას ვერ მოასწრებ რო ჩაგყლაპამენ და გაგანიორწყალებენ.

უპირველეს ყოვლისა ამ შენ „ლიგას” ესაჭიროება გამოცდილი და განაცადი „ერკემალი” და როცა ლიგა ფეხს მოიდგამს და ფესვებს გაიღებს, ამასობაში შენც გამოიცდები და დაუდგები სათავეში მეთქი და ურჩიე ერთი შესაფერი პირი საამისოდ”.

ნინო დადიანი, ზოგადად, ძალიან რეალურად და სწორად აფასებდა 50-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხით

---

[1] ალექსანდრე მანელიშვილი იყო ემიგრანტი, ნინო დადიანის შვილობილი, ორგანიზაცია «თეთრი გიორგის» ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ემიგრაციული გამოცემების – «მომავალი», «ერის დიდება», «ნასიონ ჟეოჟიენ» დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი, პუბლიცისტი

მსოფლიოს დიდი ქვეყნების დაინტერესებას და კარგად ხედავდა, რომ ევროპაში „ქართული საკითხი ეხლა არავის ეპრიანება. პირველი იმიტომ, რომ ეხლა „მათ" (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლება) ეკეკლუცებიან და მეორე ხ.შავიშვილმა[2] დათვის სამსახური გაგვიწია და განაგრძობს.

თანაც ეს „konference Asiatique", რომელიც არ დამთავრებულა და მოლოტოვი თავს დაყივა.

ეს ინდო-ჩინეთისა და საფრანგეთის შუა მოლაპარაკება ზავის შესახებ (რომელიც წარმოებს ბერნში).

მსოფლიოს ყურადღება ამათზეა მიპყრობილი!

ვინ რას აქნევს ბეღურასოდენა საქართველოს!

ესეც რო არ იყოს, ამ საკითხს ჯერ ჩვენს შინ უნდა დამუშავება".

სწორედ „შინ" მოუწესრიგებელ ურთიერთობებში ხედავდა ბებია ნინო ქართული საქმის შეფერხების სათავეს. სამწუხაროდ, მამა შალვა ვარდიძის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი არ მოგვეპოვება, მაგრამ ნინო დადიანის პასუხიდან ჩანს, რომ შალვა ვარდიძეც, რომელიც ამ დროს ბეირუთში იმყოფებოდა, დაინტერესებული იყო ქართული ემიგრაციის საქმიანობით და წარმატების საწინდრად მათ ერთიანობას მიიჩნევდა. სწორედ მისი თხოვნის პასუხად აღწერს ნინო დადიანი ქართული ემიგრაციის იმდროინდელ მოღვაწეობას:

„ერთობას" ხელს უშლის ორი მოვლენა: პირველი ისა, რომ აქ მყოფი ქართველობა ვართ გაყოფილი სამ განსაკუთრებულ დაჯგუფებად: ა) ყოფილნი (და განაგრძობენ) члены Всеросийской партии социаловъ; ბ) ისინი, ვინც დაუკავშირდნენ მაჰმადიანებს მთიულების სახით და გ) ჩვენა, რომლებიც ვდგავართ მიღმა, ზემო ორივე დაჯგუფებისა. სამივენი მსჯელობენ, განიცდიან და აზროვნებენ სხვა და სხვანაირად.

ერთი დიდი ნაკლი და მოშლა ერთობისა ისიც არის, რომ ყველას პირველობა გვინდა. ამის გამო ვინც კი გამოიჩენს ოდნავ უნარს, გამჭრიახობას და ნიჭსა, „მეორეები" კალთას ჩამოახევენ და უკან დაახევინებენ „ვაი რო არ წაგვასწროსო".

ნინო დადიანი არა მხოლოდ ხედავს ემიგრაციის დაქსასულობის დამღუპველ შედეგებს, არამედ სწორად აფასებს სიტუაციას და ამ „ერთობის" მოშლის მიზეზებს და მიიჩნევს, რომ „მთავარი ხელისშემშლელი ერთობისა გახლავს ისა, რომ ის „მთავარი", რაც აკავშირებდა ქართველებს, თან და თან გვეცლება ხელიდგან. სავალალოდ ამის

---

[2] ხარიტონ შავიშვილი იყო ემიგრანტი, რევოლუციონერი, დიპლომატი, პუბლიცისტი. ერთა ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი. ჟენევაში დააარსა „ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენლობა".

მთავარი მიზეზი ვართ დედაკაცები.

სხვა უამრავ დამსახურებასთან, აქ (დევნილობაში) დედაკაცები გამოვდექით სუსტები.

ეს „მთავარი" იყო ოჯახი და ეკლესია, რწმენა, ღვთის მოსაობა! ეს ორივე თანდათან იშლება, სუსტდება. სულ პატარა, თითოეულისათვის მაგალითია ისა, რომ არა თუ მოზარდმა თაობამ, არამედ ნორჩმაც კი, რომელიც დედის უბეში ზის, არ იცის საკმარის კარგად, და ხშირად სრულებითაც, სამშობლო ენა, არც ისტორია, მაშინაც კი როცა ის დაიწერა ფრანგულ ენაზე. არ იცის დედა ენაზე ლოცვები კი არა, „მამაო ჩვენო"-ც კი". ამიტომაც, „არა თუ „ერთობა", არამედ კომლად, ცალკეულად აღარ ვართ გამოსადეგი.

ეს გახლავთ ღვთის წყრომა, საცრემლო და სავალალო".

მხოლოდ ემიგრაციის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობით არ შემოიფარგლებოდა ბებია ნინოს საქმიანობა საზღვარგარეთ. შალვა ვარდიძისადმი გაგზავნილ ერთ წერილში იგი აღნიშნავს, რომ იმჟამად დაკავებულია სამი საკითხით:

„1. ახლად აღმოჩენილი ეკლესია და მონასტერი ბეთლემში.

2. ბერმონაზონთა და სასულიერო პირთა მოვლა, მიგნება და პირობების გაუმჯობესება, თუ ასეთები იმყოფებიან მანდ. კერძოდ, თქვენი, საამაყო მამულიშვილო, მამაო ჩვენო.

3. სტამბოლში მყოფ ქართველ მონაზონთა, „რომელთა პირობები შეიცვალაო", მამცნეს რომიდან".

განსაკუთრებით აღელვებდა მას ბეთლემში აღმოჩენილი ქართული მონასტრის[3] საკითხი. ბებია ნინო სთხოვდა შალვა ვარდიძეს, დაეზუსტებინა:

„1) ვინ ითვლება პატრონად უძრავს და მოძრავ განძეულობათა, აღმოჩენილთ ბეთლემში.

2) მიგაჩნიათ თუ არა შესაძლოდ ჩვენს მიერ აღძვრა საკითხის ჩვენი უფლებების შესახებ და რა სახით!

3) შესაძლოა აღდგენა? თუ შეკეთება? თუ ახლად შენება მცირე შენობისა, სადაც თავს შეაფარებენ ქართველნი ბერმონაზონნი, უკეთესის მოლოდინში, და სადაც შესრულდება წირვა-ლოცვა ჩვენს დედა ენაზე?"

ბებია ნინოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა სტამბულის ქართველთა სავანე. ამ საკითხებზე მას აქტიური მიმოწერა ჰქონდა მამა შალვასთან. იგი ზრუნავდა სავანის მონაზონთა

[3] ლაპარაკია 1952-53 წლებში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში, ბეთლემში აღმოჩენილ თეოდორე ტირონის სახელობის ქართველთა მონასტერსა და სამ ქართულ მოზაიკურ წარწერაზე (VI-VII სს.). მოგვიანებით (1955 წ.) ეს წარწერები პირველად ამოიკითხა, ლათინურად თარგმნა და კომენტარები დაურთო მიქელ თარხნიშვილმა.

მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სთხოვდა მამა შალვას გაეგზავნა მონაცემები მონაზონთა რაოდენობის, ხნოვანების, რწმენის სიღრმის, სიდარბაისლის, საქმიანობის, „მოუცილებელი საჭიროებების" შესახებ, რადგან შეწუხებული იყო იმით, რომ როგორც ჩანს, მონაზვნების „შესანახავ საშუალებას „ბეტცის" მონაზონები ღებულობდნენ ვატიკანისგან. იმავე დროს მათ ამუშავებდნენ. ეხლა, როცა საცოდავები დაუძლურდნენ, აღარ წარმოადგენენ ძველებურ ნუკბარებას და .... აიღეს მათზე ხელი". ამით შეშფოთებულ ბებია ნინოს სავანის მონაზვნებისათვის დახმარების გაწევის თხოვნით მიუმართავს სტამბოლში მყოფი მენაღარიშვილისა[4] და საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლისათვის, რათა მათ მოენახულებინათ სავანე და მონაზვნებისათვის დახმარება გაეწიათ.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბებია ნინოს მამა შალვა ვარდიძის მიმართ. ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან ჩანს, რომ იგი პირადად არ იცნობდა მამა შალვას, მაგრამ თავის სულიერ მამად და მოძღვრად მიაჩნდა, უდიდეს პატივს სცემდა და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე. ყველა წერილი სავსეა მიმართვებით: „გამოგთხოვ ლოცვა კურთხევას თქვენი მადლიანი ხელითა და გულით. გთხოვთ, მორჩილებით, მიბოძეთ პასუხი და ახსნაგანმარტება და რჩევა შემდეგ შეკითხვებზე...";

„გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოთ..";

„მე ნუ მომაკლებთ თქვენი მადლიანი ხელით დალოცვას და მიგულეთ მუდამ მზა თქვედა სამსახურად...";

„გთხოვთ ინებეთ ჩემგან მორჩილი და მამულიშვილური სალამი და წრფელი და უხვი სურვილი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა" და სხვ.

ეს იყო მოძღვრისა და სულიერი შვილის სამაგალითო ურთიერთობა. ბებია ნინო არა მხოლოდ სიტყვიერად აფასებდა შალვა ვარდიძის საქმიანობას, არამედ ცდილობდა მისი შეჭირვებული მდგომარეობის („თქვენზე მეტი საზრუნავი ტყვე, დასახიჩრებული და ავად მყოფი ომის გამო, ვინლა არის?!") გაუმჯობესებას და კურთხევას არქიელად, მაშასადამე გადმოსახლებას პარიზში და უზრუნველყოფას. ამისთვის იგი ცდილობდა პარიზში დაარსებულიყო ქართული კათოლიკური ეკლესია.

ბებია ნინოს წერილებში კიდევ ერთი საინტერესო კუთხით წარ-

[4] სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი (მენაღარი) – მენშევიკი, საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, საქართველოს ეროვნული გათავისუფლების ორგანოს – სტამბოლის კომიტეტის ხელმძღვანელი, პუბლიცისტი.

მოჩნდა მამა შალვა ვარდიძე – როგორც შესანიშნავი მექართულე: „დიდსა და უდიდეს მადლობას მოგახსენებ დარბაისელი და მამაპაპური საუბრისათვის თქვენმიერ მონაწერი წერილის საშუალებით. ასეთსა და ამნაირს, ყოველ შემთხვევაში მე მოკლებული გახლავარ. ღვთის მადლით წერილები უამრავი მომდის, მხოლოდ წაკითხვისას დაკვირვება მიხდება. არეულია ხოლმე ილიას ენა სხვა და სხვა ენების ე.წ. „ციზმებთან".

თანაც რა მშვენიერი ხელი გაქვთ! თითოეული ასო ამოჭრილია და პირველი პწკარის სიმშვენიერე არ განსხვავდება, ექვსი გვერდის შემდეგ, უკანასკნელისაგან" – ასე აფასებდა შალვა ვარდიძის ქართულს ნინო დადიანი, რომლის წერილებიც თავადაა დარბაისლური და თავანკარა ქართულის ნიმუში.

ნინო დადიანი იყო არა მხოლოდ დიდი პატრიოტი, არამედ ენერგიული და მოქმედი მამულიშვილი. მთელი ცხოვრება იგი სრულიად უცნობ ადამიანებს უწევდა დახმარებას, ზრუნავდა მათ დაბინავებაზე, საზრდოზე, ტანსაცმელზე, ექიმზე, წამალზე და სხვ. წერდა წერილებს საჭირო პირებს, განუმარტავდა გასაჭირში მყოფთა მდგომარეობას, ითხოვდა ამა თუ იმ საქმის დაჩქარებას. რამდენად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო ბებია ნინო, ჩანს წერილებში მოხსენიებულ მისი ნაცნობების წრიდან. იგი მეგობრობდა კარდინალ ტისრერანთან, ბეირუთის ვიკარიატის ადმინისტრატორთან, საერთაშორისო წითელი ჯვრის გენერალურ მდივანთან ქ-ნ ვერნერთან, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ ქართველ ემიგრანტებზე. ბებია ნინოს შვილობილი იყო ალექსანდრე მანველიშვილი, იგი მეგობრობდა და დახმარებას უწევდა გრიგოლ რობაქიძესა და კალისტრატე და ნინო სალიებს, ევგენი გეგეჭკორსა და დავით სალირაშვილს და სხვ., მაგრამ ყველაზე უკეთ თავად ბებია ნინო აფასებს თავის საქმიანობას მისსავე წერილში: „მე გახლავარ სულ პაწია მნიშვნელობით, ვინმე დედაკაცი, მისავე ღვთისა, ერთგული ჩვენი ერისა და სამშობლოსი და გულითად თანამგრძნობი ჩვენთა თანამემამულეთა". სწორედ ასეთი ღირსეული და მგზნებარე მამულიშვილის, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურის სახელი და საქმეები შემოგვინახა სტამბულის ქართველთა სავანის ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ.

ნინო დადიანისა, როგორც სანდრო ფანჩულიძის[5] მოგონებებიდან

---

[5] სანდრო ფანჩულიძე იყო გრიგოლ რობაქიძის მამიდაშვილის შვილი, მისი ერთადერთი სისხლით ნათესავი საზღვარგარეთ, რომელსაც ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟენევაში მცხოვრებ გრიგოლ რობაქიძესთან. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ჩადიოდა მასთან პარიზიდან, დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა მარტოხელა მწერალს, თუმცა, გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შემდეგ, ვერ შეძლო გამხდარიყო მისი მემკვიდრე და დაკარგვას გადაერჩინა მისი არქივი.

ჩანს, გარდაცვლილა 1962 წლის შემდეგ. ს.ფანჩულიძეს 1962 წლის 19 ნოემბერს მისგან მიუღია გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შესახებ დეპეშა: „სანდრო, შვილო, გრიგოლი გარდაიცვალა, ჩამოდი". 1962 წლის 22 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძის დაკრძალვას ესწრებოდა ნინო დადიანიც, ხოლო სულ მალე დაწერილ ამ მოგონებაში, ს.ფანჩულიძე მოიხსენიებს მას, როგორც „აწ განსვენებულ ნინო დადიანს". სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მის ვერც ერთ ფოტოს და ვერც მისი მეუღლის ვინაობა დავადგინეთ. არც ისაა ცნობილი ჰყავდა თუ არა შვილები. თავის ერთ-ერთ წერილში (1954 წლის 17 მაისი) წერს: „ბინა გამომიცვალეს. ვცხოვრობ ჩემს დიდი ხნის ნაცნობთან. ღვთის მოსავეა; კეთილი და კულტურული ადამიანია. იქნებ შევეგუო და შემიგუოს". როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელი წელი ოჯახის გარეშე გაუტარებია. ასე, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა საკვლევი და დასაზუსტებელი, მაგრამ ამ პროექტის არსიც ხომ ესაა: სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს სრულიად ახალი მასალა, რომელიც საფიქრალსა და საკვლევს მისცემს მეცნიერთა არაერთ თაობას.

*ჯემალ კარალიძე*

## *ცარიზმის პოლიტიკის ისტორიიდან საქარ თველოში XX საუკუნის დასაწყისში*

რუსეთმა სძლია რა ხანგრძლივ და დაძაბულ დაპირისპირებაში თავის მეტოქეებს : ირანსა და ოსმალეთს , XIX საუკუნისათვის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონი, კავკასია დაიქვემდებარა.კავკასიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს გააჩნდა. რუსეთს სურდა ახლად შეერთებული მხარე ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც აეთვისებინა, რათა იგი იმპერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გადაექცია. ამისათვის აუცილებელი იყო საქართველოს ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, რომელიც ვერ განხორციელდებოდა თავისუფალი მიწის ფონდის გარეშე. სწორედ ეს იყო აფხაზეთის , მესხეთის და აჭარის მკვიდრთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების – მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

აფხაზეთის კოლონიზაციის ფორსირებული ტემპებით განხორციელება დაემთხვა რუსეთში პოლიტიკური რეაქციის დასაწყისს, რომელიც დაკავშირებული იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობასთან (1881წ.) და ალექსანდრე III-ის მეფობის დასაწყისთან. კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენდა : 1. დემოგრაფიული ვითარების შეცვლა აფხაზეთში, უცხოტომელთა ჩამოსახლების კვალობაზე ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება; 2. საეკლესიო მსახურებიდან ქართული ენის განდევნა; 3. საეკლესიო -სამრევლო და საერო სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვა; 4. ქართული მოსახლეობს ყოველმხრივი შევიწროვება; 5. აფხაზეთის გარუსება, მათი ასიმილირება.

ამ მიზნის განსახორციელებლად რუსეთის ხელისუფლებამ არაერთი კონკრეტული ნაბიჯი გადადგა: ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენდნენ, ღვთისმსახურება რუსულ ენაზე უნდა აესრულებინათ; სკოლებში აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება; ქართველებისათვის სოხუმის ოკრუგში დასახლების შესაძლებლობა შეიზღუდა; აფხაზეთში მასობრივად დაიწყო რუსი კოლონისტების ჩამოსახლება.

აღნიშნული კოლონიური პოლიტიკის შედეგად მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში უმძიმესი ვითარება შეიქმნა.(გურული, 2018:443)

ქართული პროგრესული ინტელიგენცია დაირაზმა აფხაზეთში ეროვნული ინტერესების გადასარჩენად. ამ ბრძოლას სათავეში ედგა დიდი მამულიშვილი თედო სახოკია და მის მიერ შექმნილი ქართული პარტია. ამ ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბსა და იმპერიისათვის საფრთხეზე მიუთითებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ ფ. გერშელმანის 1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენება, სადაც ხაზგასმულია , რომ „ სოხუმის ოკრუგში მოძრაობის სათავეში დგას რამდენიმე პიროვნება, რომლებიც... წარმოადგენენ საიდუმლო ქართული პარტიის აგენტებს, რომელიც თავის გავლენას მთელ ამიერკავკასიაში ავრცელებს“.

თედო სახოკია და მისი თანამოაზრეები აფხაზებს ქართულ ენასა და კულტურას კიარ ახვევდნენ თავს, არამედ იცავდნენ მათ გადაგვარება-გაქრობისაგან. ამდენად თედო სახოკიას ქართული პარტია თავისი მოთხოვნებით ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა. ქართული პარტიის მოღვაწეობა აფხაზეთში და მისი ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართული ეროვნული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. მისმა მესვეურებმა თითქმის უიმედო ვითარებაში შეძლეს წინ აღდგომოდნენ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას და ხელი შეეშალათ აფხაზეთის სრული რუსიფიკაციისათვის (გურული, 2018:453)

მსგავსი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა რუსეთის იმპერიაში მოქცეული აჭარა და მისი მოსახლეობაც. ცარიზმი აჭარაში (ბათუმის ოლქი) მრავალმხრივ იმპერიულ პოლიტიკას ატარებდა : ადმინისტრაციული მოწყობისა და მისი ცვლილებების განხორციელებისას; საადგილ-მამულო ურთიერთობების გადაწყვეტისას; პორტო-ფრანკოს რეჟიმის შემუშავებისას; საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისა და ქალაქის თავის არჩევნების ჩატარებისას და სხვ.

აჭარაში რუსეთის ადინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგება. ამ მიმართებით რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ინტერესები გააჩნდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. ცარიზმის დაინტერესება მდგომარეობდა შემდგომში – რაც შეიძლება მიწის მეტი ფართობი გამოეთავისუფლე-

ბინა კოლონისტებისათვის ახლადშემოერთებულ მხარეში.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტია კავკასიის ჯარების მთავარსარდლების გენერალ-ადიუტანტ თავად სპიატოპოლმირსკის ქ. თბილისში, 1879 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქცია კომისიებისადმი, რომლებსაც უნდა შეესწავლათ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწისმფლობელთა უფლებები და მათზე არსებული აქტები (აცსა, ფ.6, ს.141 : 378-381).

ინსტრუქციის № 15 პარაგრაფით თუ რომელიმე დოკუმენტი ტოვებდა ყალბის შთაბეჭდილებას, ხდებოდა ამის დაფიქსირება ოქმში, შემდეგ მისი შედარება სხვა საკადასტრო წიგნებთან (თუ ასეთი კომისიას მოეძევებოდა) თუ არა კეთილსინდისიერი პირების დაკითხვა, რის შემდეგაც დოკუმენტი მიიჩეოდა სანდოდ ან ყალბად. ცხადია, „კეთილსინდისიერი პირები" რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველ თვალსაზრისს დაუჭერდნენ მხარს.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ მიზანს ცხადყოფს ინსტრუქციის № 10 პარაგრაფი: „კომისია ვალდებული იყო ზუსტად განესაზღვრა ყველა თავისუფალი მიწისა და სავარგულების რაოდენობა, რომელიც შეადგენდა ხაზინს საკუთრებას..." (აცსა, ფ.6, ს.141: 378-379).

თუ რამდენად „ზუსტად განსაზღვრა" და „შეისწავლა მიწისმფლობელთა უფლებები" ხსენებულმა კომისიამ , კარგად ჩანს შემდეგი ვითარებიდან. აჭარაში მიწისმფლობელობის საკითხი კვლავაც დიდხანს გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. „ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი" („ბათუმის გაზეთი", 1911 : #8) . ამ სფეროში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ვკითხულობთ : „მიწათმოწყობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები" (სცსსა, ფ.264, ს.4805 : 307).

მაინც რატომ აყოვნებდა რუსეთის ხელისუფლება მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში უფრო იოლად შეეძლო კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება.ოფიციალური საბუთების გარეშე მიწისმფლობელს არ შეეძლო მის სარგებლობაში მყოფი მიწის გას-

ხვისება. მეორეს მხრივ ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა მუჰაჯირობას. რათა „განთავისუფლებულ“ მიწებზე „ერთგული“ ელემენტი ჩამოესახლებინა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ასეთი გეგმაზომიერი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მალე აჭარის ზღვისპირა ზოლი მთლიანად გადმოსახლებული კოლონისტების ხელში მოექცა. „1905 წლისთვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის ქართველი მიწათმფლობელი მხოლოდ სევასტი ჭელიძე ყოფილა“ (გოგოლიშვილი, 1996 : 11) .

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ნათლად გამოჩნდა ბათუმის პორტოფრანკოს საკითხშიც. ცნობილია, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა როგორც თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური. რუსეთის დელეგაცია იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა მის შეზღუდვას. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დაავალა შეემუშავებინა ბათუმის პორტოფრანკოსათვის შესაბამისი წესდება.

წესდების მიხედვით პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული.იქმნებოდა საბაჟო საგუშაგოები, რომელთაც უნდა გაეკონტროლებინათ ქალაქში, როგორც საქონლის შემოტანა, ისე განსაკუთრებით მისი გატანა. ამ მიზნით ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: ოზურგეთისა (ქობულეთ-გურიისკენ), კახაბრისა (ქედა-ხულოსკენ), ჭოროხისა (ბორჩხა-ბირთვინისაკენ) და ჭოროხის ბოლოსი ( გონია-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისაკენ). ამ კარებში გატანილ ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით (სურგულაძე, სიორიძე, 1996 : 25).

რუსეთის ხელისუფლება , რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებისა, სარგებლობს რა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოთა შორის ახალი გადაჯგუფებით, თანდათან იწყებს პორტო-ფრანკოს შეზღუდვას. 1886 წლის 27 ივნისს , რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ბრძანებულებით ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოცხადდა.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილი განზრახვა კარგად გამოჩნდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც იყო ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება და მისი

შემდგომი ფუნქციონირება.

1888 წლის 28 აპრილს ბათუმზე გაიცა უმაღლესი ბრძანება თვითმმარრთველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვითმმართველობა ცდილობდა გადაეწყვიტა ქალაქისთვის ისეთი აუცილებელი საკითხები როგორიც იყო წყლით მომარაგება , განათება, სანიტარული მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა.

თვითმმართველობის სამოქმედო ასპარეზს ზღუდავდა იმდროინდელი სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლებებს კვეცავდა. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ბათუმის ოლქისა თუ კავკასიის ადამინისტრაცია უხეშად ერეოდა თვითმმართველობის საქმეებში. ამის მაგალითია 1901 წელს გამმგეობის წევრადი. ივანოვის კანდიდატურის თავს მოხვევა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორი მოითხოვდა ქალაქის თავისაგან ხმოსნების: გ. სოგოროვის, ე. ბერძენიშვილის, აა. დეკანოზოვის, გ. ელიავას და ხმოსანთა კანდიდატის ე. ხორომანსკის გადაყენებას და მათ შეცვლას გურგენიძით. ვ. რუხაძით, ნ. საიპოვით და ი. კახიანით („ბათუმის გაზეთი" , 1911 : #12) .

თვითმმართველობის წინააღმდეგ ცილისწამების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1910 წლის 2 აპრილს „რუსკოე ზნამიაში" გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ბათუმის თვითმმართველობისს წევრებს და გამგეობას 1905-1907 წლების რევოლუციური

მოვლენების დროს აჯანყებულებზე მხარდაჭერა ბრალდებოდათ. ეს საქმე ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მოიგო. 1915 წლის 31 მარტს სასამართლომ დუბროვინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა (აცსა, ფ.6, ს.652 :1-6).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ნათლად დასტურდება ბათუმის ოლქის , როგორც ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და მისი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებით.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზიის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ეყოლებოდა. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი (Батумь и его окрестности, 1906 : 105) .

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ამათ ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის (როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად- ავტ.), ბუნებრივ პროცესს; მეორე – ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის ( და საერთოდ ბათუმის ოლქის – ავტ.) კოლონიზაციას. მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები (ქცა, ფ.130, ს. 258 : 24) . ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხები უჯდებოდა . „ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 219, 419 მანეთი („Кавказъ“, 1882 : #155) , მე-19 საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმები როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციულ მოწყობაში. ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. „ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე ... ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173, 349 მანეთით“- წერდა „კავკა-

ზი“ („Кавказъ“, 1882 : #155). ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო“. როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, ბათუმის ოლქი, რუსეთთან შეერთების შემდეგ არსებობდა დაახლოებით 4 წელს. 1883 წლის 12 ივნისს მისი უდიდებულესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა მისი შეერთება ქუთაისის გუბერნიასთან.

მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკვრული მიზანი- ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო , ხოლო აჭარა საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს – განუხორციელებელი დარჩა. „ცარიზმის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნიეს (სიჭინავა, 1958 : 83 ) .

რუსეთის ხელისუფლების სურვილი , სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი. აჭარა- ავტორი) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებული მხარე იყო. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს და 157 მცხოვრებს“ (ქცა, ფ. 130, ს.175 : 2). ამის მიუხედავად, გადმოსახლებული „ერთგული ელემენტის“ რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები, „ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის ორი რუსული დასახლება – ერთი ჩურუქ-სუსთან, სადაც მოახალშენეებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე – ხოლოდნაია სლობოდა ბათუმის ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები (ქცა, ფ. 18,2145 :4) . საქმე მთლად ასე როდი იყო . ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგულებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორე – მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროისთვის ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამოწვეული კოლონიზაციის დაბალი ტემპი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა , და ჩაქვში საუფლისწულო

მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული „ნაკლოვანების“ გამოსწორების საშუალება მისცა..

1896 წელს დუნდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავართმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი. (იგი მთავარმართებელი იყო 1896-1904 წწ. -ავტ.) ახლადდანიშნული მთავარმართებელი „აკრიტიკებდა კავკასიაში 1883-1885 წლების რეფორმის ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა“ (ვანიშვილი , 1989 : 86 ). გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიაჩნდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, არამედ გააძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ მე-19 საუკუნის დამლევიდან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი № 4821, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად“ (ქცა, ფ. 186, ს. 759 :1).

1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაბი, კიდევ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე

გამოყოფის თაობაზედ (აცსა, ფ. 7, ს.431 : 46). ოფიციოზი ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასაბუთებდა:„1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლიტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა, და ამ ღონისძიებამ შეაფერხა ახლადშემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ბათუმის ოლქის მმართველობის გაუქმებით.

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ II ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმისა და ართვინის ოკრუგები გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ. ბათუმი"(ქცა, ფ. 130, ს.258 : 4).

ამრიგად, მე-20 საუკუნის დასაწყისში ცარიზმი დაჟინებით ცდილობდა საქართველოს როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ქვეყნის სრულ ათვისებას. აღნიშნული პოლიტიკა თვალსაჩინოდ გამოჩნდა აფხაზეთსა (სოხუმის ოკრუგი) და აჭარაში ( ბათუმის ოლქი). რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, რომ აღნიშნულ მხარეებში როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ისე ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური თუ დემოგრაფიული საკითხები იმპერიული ინტერესებისამებრ გადაეწყვიტა. დაჟინებული მცდელობის მიუხედავად , ცარიზმმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


1. აცსა, ფ. 6, ა.1, ს.141
2. აცსა, ფ.6, ა.1,ს. 652
3. აცსა,ფ.7, ა.1, ს.431
4. სცსსა, ფ. 264, ა.4, ს. 4805
5. ქცსა, ფ.18, ქ.1, ს. 2145
6. ქცსა, ფ. 130, ა.1, ს. 175

7. ქცსა,ფ.130,ს. 258
8. ქცსა, ფ.186, ა.1, ს. 759
9. „ბათუმის გაზეთი“, #8, 1911
10. „ბათუმის გაზეთი“, #12, 1911
11. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914, I , ბათუმი 1996
12. გურული ვ.,საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი მეორე, თბილისი 2018
13. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ. თბილისი, 1989
14. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958
15. სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო ფრანკო ბათუმში, ბათუმი 1996
16. Батумь и его окрестности , Батумь 1906
17. „Кавказъ“, #155, 1882

*Jemal Karalidze*

***From the History of the Tsarist Policy in Georgia in the XX Century***
***Summary***

As early as the XVI century it was obvious that Russia had special interests to the Black sea and to the Caucasus. In spite the great opposition from the rivalry states, during the XIX century she managed to conquer the most part of the Caucasus and the Black sea. At the same time Russia was involved in the colonization process of the occupied territories.

At the beginning of the XX century the Russian Empire tried to assimilate Georgia as the country of great importance. This policy was especially noticeable in Abkhazia (Sokhumi Okrug – the district of Sokhumi) and Adjara (Batumi Okrug – the district of Batumi). The Government of Russia tried to solve the issues related to the politics, administration, economics, culture, religious and demography in those parts of Georgia according to her imperial interests. Despite of persistent attempts, Tsarism failed to achieve her goal.

*თინათინ ჯაბადარი*

# *აჭარა ქართული პრესის ფურცლებზე*
## *(XX საუკუნის დასაწყისი)*

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა არც თუ ისე მრავალფეროვანი იყო. მიუხედავად ბევრი სიძნელეებისა, გამოდიოდა ქართული ყოველდღიური, პოლიტიკურ – ლიტერატურული, ან პარტიული გაზეთები, იმ წლებში ინერგებოდა ციკონოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ, გაზეთის რედაქციები ახერხებდნენ მკითხველისთვის მიეწოდებინათ არა მხოლოდ, საქართველოს მაზრების, არამედ მსოფლიო ამბებიც, სხვადასხვა სააგენტოების დახმარებით ეს წარმატებით ხორციელდებოდა.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ბათუმისა და ბათუმის მხარის XX საუკუნის დასაწყისის მშფოთვარე ცხოვრება: ქალაქის მმართველობის მუშაობა, ქართველ მაჰმადიანებთან ურთიერთობის, განათლების, აჭარის მხარის საქართველოსთან შემოერთების, აჭარის საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების, ბათუმში ბოროტმოქმედთა მიერ განხორციელებული დანაშაულებების და სხვათა შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია XX საუკუნის დასაწყისის ქართული გაზეთების: „ივერიის", „ცნობის ფურცლის", „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატების", „დროების", „ისრის", „ლახვარის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა.

საუკუნის დასაწყისი ქალაქ ბათუმისათვის მშფოთვარედ დაიწყო, 1901 წლის 9 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. ბათუმის თავი ლუკა ასათიანი, 1902 წელს ქალაქმა ახალ მმართველად – ქალაქის თავად, ივანე ანდრონიკაშვილი აირჩია. გაზეთი "ცნობის ფურცელი" თავის დამატებაში გამოეხმაურა ამ ფაქტს.





ლუკა ასათიანი (1836-1901)
ივანე ანდრონიკაშვილი (1862-1947)
**(გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება 1901წ. NN 1638, 1945; 1902 წ. N 1709)**

1902 წლის გაზაფხულზე ახალი ძალით დაიწყო ქალაქის განახლებისთვის მუშაობა. გაზეთი "ცნობის ფურცელი" პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას მკითხველს ქალაქის მმართველობაში განვითარებულ მოვლენებზე.

1902 წლის აპრილის მორიგ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ თავ. ივ. ანდრონიკაშვილმა საბჭოს აუწყა ქალაქის ზღვაოსნობის კომიტეტისაგან მიღებული წერილის შინაარსი, რომელიც ეხებოდა სანავთსადგურო შემოსავლს. აღნიშნული წერილით ქალაქის გამგეობას ეცნობა, რომ „ქალაქს ნება დაერთო სანავთსადგურო შემოსავლიდან გაეწია შემდეგი ხარჯები: გემების მისადგომთა შეკეთებისათვის – 1200 მან; მისავალი გზების შეკეთებისათვის – 8.000-მან; ელექტრონით განათებაზე შიდა პორტში – 12.000 მან; და ჭაობიანი ტერიტორიებზე გაწეული სამუშაოების შესანარჩუნებლად და ახალი სამუშაოს ჩასატარებლად – 10.000 მან. ქალაქის მოთხოვნა დამატებით იმ ხარჯების გაწევისთვის, რომელსაც ქალაქი ითხოვდა, სრულიად უარყოფილი იყო, კერძოდ: საკრებულოს შესანახად – 2.155 მან; ტროტუარების რემონტისთვის – 3.000 მან; საავადმყოფოს შესანახად – 17.380 მან; ჭაობიან ადგილებზე სამუშაოების დასამთავრებლად – 125.425 მან. ... გარდა ამისა, ქალაქი თხოულობდა პეტერბურგის, პუშკინის, ვოზნესენსკის ქუჩების მიერთებას და წყლის გაყვანას...აღნიშნულის აუცილებლობაზე სანავთსადგურო კომიტეტმა ახსნა განმარტება მოითხოვა, მანამდე

თავი შეიკავა..." (**გაზ.„ცნობის ფურცელი"**, **1902 წ. N 1799**).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქალაქის თავმა საბჭოს გააცნო ბათუმის სამშობლოსთან შეერთების 25 წლისთავისთვის, საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც 1903 წლის 15 აგვისტოსთვის იგეგმებოდა.

კომისიამ მოიწონა საიუბილეოდ ქალაქში თეატრისა და ბიბლიოთეკის გახსნა, რაც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ: თეატრის აგება 122.000 მან. ნაანგარიშევი იყო ასევე თეატრის წლიური შემოსავალი -13.650 მან. (130 წარმოდგენა, თითოსაგან თეატრის ქირა – 90 მან.), აღნიშნულის გარდა კომისიამ მოითხოვა ერთი დაწყებითი სასწავლებლის აშენება მუშათა რაიონში. კომისიის მოთხოვნაში შედიოდა აგრეთვე თეატრის ბილეთების შედარებით დაბალი ფასები, რათა მუშებსა და ხელმოკლე ხალხსაც მისცემოდათ გონიერი გასართობი".







**(გაზ.„ცნობის ფურცელი", 1902 წ. N 1799)**




**ოსკარ შმერლინგის კარიკატურები ბათუმის თვითმმართველობაზე (გაზეთი "ცნობის ფურცლის"სურათებიანი დამატება 1902 წელი,N 2007)**

1902 წლის მაისის სხდომაზე ი. ანდრონიკაშვილმა ხმოსნებს წარუდგინა მოკლე დროში გაკეთებული და მომავალში გასაკეთებელი საქმეების ანგარიში: „მოკლე ხანში რკინიგზის ლიანდაგზე გაკეთებული იქნება გადასასვლელი ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მახლობლად, რითაც გაადვილებულ იქნება კამაროვის ქუჩის გაერთიანება; 2. მეორე გადასავალის (მორსკოის ქუჩის ბოლოში, რკინიგზის სადგურთან ) გაკეთებას მმართველობა შეუძლებლად ცნობულობს ამ ხანად; 3. რაც შეეხება ტრამვაის გაყვანას, ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ რადგან ამჟამად დამტკიცებულია ეგრეთწოდებული "ნავთის ქალაქის" გეგმა, რომლზეც დამოკიდებულია ტრმვაის გეგმაც, ამიტომ ტრამვაის საქმე მახლობელ საჭირო საქმედ ხდება და გამგეობა მალე შუდგება სისრულეში მოყვანასო.

შემდგომად ამისა თავმჯდომარემ აუწყა საბჭოს, რომ გამგეობამ მიიღო მოწერილობა ქუთაისის გუბერნატორისაგან ქალაქის თავის მოადგილედ გრ. ვოლსკის დანიშვნის შესახებ. ამ ამბავმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს საზოგადოებაზე. თუ საბოლოოდ არა, დიდის ხნით მაინც ჩააჩუმებს და ალაგმავს იმ ვაჟ-ბატონთ, რომელნიც ასეთ ამბავში იყვნენ ამას წინათ და სიხარულს ეძლეოდნენ და გაიძახოდნენ: გრ. ვოლსკის, კარ. ჩხეიძისა და ოც სხვა ხმოსანს საბჭოდან გამოჰყრიანო და სხვა...

...თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ ქალაქის სახლი, რომლის აშენება ქალაქს დაუჯდა 80 ათას მანეთამდე, ერთის თვის შემდეგ დამთავრებული იქნებაო და მის მოსაწყობად ავეჯითა და სხვა ამგვარებით საჭიროა ხუთი ათასი მანეთიო, საბჭომ გადასდო ეს ფული. ამავე სხდომაზე საბჭომ გადასწყვიტა თანახმად გამგეობისაგან წარმოდგენილ მოსაზრებისა, გახსნან ახალი საავადმყოფო ამ თვის პირველი რიცხვიდან სამოცი საწოლით და არა ასოცით, როგორც განზრახული იყო წინათ (ამაზე თავისი მოსაზრება ჰქონდათ).... საავადმყოფოს ეყოლებოდა უფროსი ექიმი, (ჯამაგირით 2000 მან.), გამოცდილი სპეციალი – დოქტორი ( ჯამაგირით -2400 მან.), ბებია – ქალი (ჯამაგირით -360 მან.), სამი ფერშერი-ქალი (თითოს – 600 მან), საავადმყოფოს ზედამხედველი, იგივე საქმისმწარმოებელი (900 მან), ეკონომი (300 მან) და სხვა.

გამგეობას ნააგარიშევი ჰქონდა ავადმყოფთა სმაჭამაზე დასახარჯი თანხა, თითო ავადმყოფზე დღეში 5 შაური, წლის განმავლობაში – 5475 მან. წამლებზე თითო ავადმყოფზე დღეში – 14 კაპეიკი,

წლიურად – 3066 მან, განათება და გათბობა საავადმყოფოსი – 1744 მან; რემონტი, გაწმენდა, გასუფთავება, კანცელარია – 2300 მან; ღარიბთა დამარხვა, თეთრეულის გარეცხვა და სხვა 2000 მან; სულ ყოველდღიური ხარჯი შეადგენდა 29.623 მან. ხოლო საავადმყოფო ასოცი საწოლით მოითხოვდა 45.102 მან....ეს მეტისმეტად საგრძნობი იქნებოდა, დღეს ბათუმისათვის, რომელსაც როგორც ზევითაც ვთქვით სანავთ-სადგურო შემოსავალი მოაკლდა....ბათუმის ქალაქის თვითმმართველობამ აღძრა კომერციული ნავთსადგურების მომწყობ კომისიის წინაშე შუამდგომლობანი, რათა ქალაქს მიეცეს სანავთ – სადგურო გადასახადებიდან ფული, იმ საქმეთა აღსასრულებლად, რომელიც ქალაქს ჰქონდა განზრახული: მაგ. წყლის გაყვანა, ჭაობების დაშრობა და შემდეგი სამუშაოების ჩატარება, საავადმყოფოს სახარჯო და ელექტრონის განათებისა და სხვა ამგვარისათვის..." **(გაზ. "ცნობის ფურცელი", 1902 წ. N 1815).**

1902 წლის შემოდგომაზე პირველი კრება ჩატარდა ქალაქის ახალ სახლში. რომელიც 15 სექტემბერს იკურთხა. „ეს უზარმაზარი შენობა ქალაქს დაუჯდა თითქმის ოთხმოცი ათას მანეთი და კარგი რამაც არის, თუმცა უკეთესიც იქნებოდა მოიჯარადეს რომ მეტი გული დაედო. სწორედ ამიტომ გამგეობის თავმჯომარემ მოიჯარადე მოიცილა და თვითონ განაგრძო სახლის შენება. ლამაზია საბჭოს დარბაზი, განიერი გრძელი და სანთლიანი. დიდი ნაკლი ამ დარბაზისა ის არის, რომ ხმა იკარგება და ერთ თავში მოლაპარაკის სიტყვები დარბაზის ბოლოში ძლივს ისმის. მეტად კარგია დიდრონი და სანთლიანი ოთახები. ქვედა სართულზე მოთავსებულია ქალაქის ლომბარდი, ბიბლიოთეკა და სხვა. რადგან წინა დღეს კურთხევისთვის ასავალი კიბე მორთული იყო მცენარეულობით, იგივე მორთულობა დარჩა პირველი სხდომისთვისაც, რაც განსაკუთრებულ სახეს აძლევდა ამ სხდომას. გარეშე ხალხიც ბლომად დაესწრო სხდომას და გამგეობაც ეტყობოდა შემზადებული იყო....

სხდომას ხელმძღვანელობდა ქალაქის თავი თავ. ი. ანდრონიკაშვილი....თავმჯდომარემ საბჭოს, დიდი მთავრთან, ალექსანდრე მიხეილის ძესთან აღძრული შუამდგომლობაზე ესაუბრა.... ქალაქის მოურავს უსარგებლია დიდი მთავრის ბათუმში სტუმრობით და უთხოვია შუამდგომლობა პორტში შემოტანილი საქონლის ბაჟიდან ქალაქის სასარგებლოდ ფულის გადახდის შესახებ, რომელიც ჭაობიანი ადგილების დაშრობასა და წყალგაყვანილობის გასამართად გამოიყენებოდა.



ბათომის „ბულვარი“



ბათომი. ახლად აგებული მართლ-მადიდებელთა ტაძარი

**(გაზეთი "ცნობის ფურცლის"სურათებიანი დამატება 1902 წელი N1846)**

სხდომაზე განიხილეს საკითხი ბულვარზე პირობების გაუმჯობესებისა, გადაწყდა აშენებულიყო კურზალი, თანამედროვე მოთხოვნებით, ტერიტორიულად კურზალი უკვე არსებული ბუფეტის ადგილზე აშენდებოდა, ყოველმხრივ გახსნილი როტონდით, აქვე იქნებოდა სამკითხველო ოთახი ზღვისკენ ვერანდით, ბუფეტი, განყოფილება ორკესტრისათვის და საკონცერტო დარბაზი სცენითურთ, ქვეშ იქნება სამზარეულო... როგორც ამ საქმის წამომწყებმა (პალმმა და ივანოვმა) გამოიანგარიშეს კურზალის აშენება დაჯდება 35-50 ათასი მანეთი, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამგეობას გამოეყო 300 მანეთი, ამ საქმის მცოდნე ადამინისათვის, რომელიც დაწვრილებით წარმოადგენდა ხარჯებს" **(გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902 წ. N 1932)**.

ცნობილი ფაქტია, რომ 1907 წელს ცნობილ პუბლიცისტს, პოეტს, ექიმს, საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ვოლსკის თავს დაესხნენ და მძიმედ დაჭრეს. ელვის სისწრაფით გავრცელებულმა ინფორმაციამ ქ. ტფილისში არა სწორად ჩამოაღწია და უკვე 1907 წლის 3 აგვისტოს, პარასკევს, გაზეთი „ისარი“ წერდა არა მისი მძიმედ დაჭრის, არამედ მისი გარდაცვალების შესახებ. ცოცხალი ადამიანის ნეკროლოგში ვკითხულობთ:

„როგორც კერძო დეპეშით გვატყობინებენ პირველ აგვისტოს ბათუმში საზიზღარი საქმე ჩაუდენიათ: ვერაგულად მოუკლავთ უდანაშაულო და უანგარო ადამიანი, მთელს ქართველობაში კარგად ცნობილი ექიმი გრიგოლი ვოლსკი, ცხოვრების ნაძირალებმა არ იკმარეს

ის, რაც აქამდე ჩაიდინეს და ერთი ადამიანი და მოღვაწე კიდევ იმსხვერპლეს. ვინც ვოლსკის იცნობდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ მას კერძო პირადი მტრები არ ჰყავდა, ამიტომ ის საზიზღარი მკვლელობა, ეჭვი არ არის სულ სხვა ნიადაგზე უნდა იყოს ჩადენილი, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, მკვლელი თუ მკვლელნი მიმალულან.

ვოლსკის თვალსჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული საზოგადოების და ლიტერატურის წინაშე. იგი ცნობილია, როგორც პოეტი (ფსევდონიმით უმწიფარიძე), პუბლიცისტი და მთარგმნელი. კარგა ხანია განსვენებული პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუდგა ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში, სადაც იგი რამდენსამე წელიწადს ქალაქის გამგეობის წევრად იყო. განსვენებული ყველა ქართულ დაწესებულებას ეხმარებოდა და მის საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, სულ ორი კვირა არ არის რაც ტფილისის ქართულ გიმნაზიიის პედაგოგიურმა საბჭომ გრიგოლ ვოლსკი მოიწვია უფროს კლასებში ქართული ენის მასწავლებლად, განსვენებულს ორი ფაკულტეტი ჰქონდა გათავებული: საექიმო და საფილოლოგო, ამასთან ქართული ენის მშვენიერი მცოდნე იყო.

როგორც, კაცი, განსვენებული ყოვლად პატიოსანი და უანგარო ადამიანი იყო მშვიდსა და უწყინარის ხასიათის პატრონი, იგი ყველას გულს იზიდავდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა (განსვენებული 47 წლისა იყო) და ჯანღონით სავსე გრიგოლ ვოლსკის ასე ვერაგულად სიკვდილი ჭეშმარიტად დააღონებს და გულს მოუკლავს ყველას, ვინც კი განსვენებულს იცნობდა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! **(გაზ. „ისარი“, 1907 წ. N 169).**

ორი წლის შემდეგ, 1909 წელს გაზეთი „დროება"გამოეხმარა ამ დიდი პიროვნების გარდაცვალების ნამდვილ ფაქტს:

„გუშინ ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიგოლ იოსების ძე ვოლსკი, ამ მოულოდნელ ამბავს მწუხარებით მიეგება მთელი ქართველი საზოგადოება, რომელიც კარგად იცნობდა პატიოსანსა და უანგარო ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს ვოლსკის.

განსვენებულს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართულ მწერლობის წინაშე, ცნობილია როგორც პოეტი (ფსევდონიმი უმწიფარიძე), ბევრი საკუთარი ლექსიც დაუწერია და და ბევრიც მშვენივრად გადაუთარგმნია სხვა ენებიდან. სწერდა აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებს და სთარგმნიდა ქართულ სიტყვა კაზმულ ნაწარმოებებს

რუსულ ენაზე (ცნობილია მისი კარგი თარგმანი ილია ჭავჭავაძის „კაცია- ადამიანისა“ (რომლის ნაწყვეტი დაიბეჭდა თუმანიშვილების „ნოვ. ობოზრ.“-ში). მეტად არა, გრიგოლ ვოლსკი ნაკლებ ცნობილი არ იყო როგორც საზოგადო მოღვაწე, ამისათვის მან თავი დაანება თავის სპეციალ საქმეს (ექიმობას) და ენერგიულად შეუდგა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში მუშაობას. მისი მეცადინეობითა და მხნეობით ბათუმის საქალაქო საქმე პროგრესიულ ჯგუფს ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ვოლსკის დიდი ბრძოლა დასჭირდა, პალმისა და გრიელსკის შავრაზმელ კომპანიასთან. რამდენიმე წელიწადი გამგეობის წევრად იყო, მაგრამ ბოლოს ადმინისტრაციასთან უსიამოვნების გამო თავი დაანება. განსვენებული გარდა ამისა, ყოველ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. იყო ენერგიული წევრი ქ.წ.კ.გ. საზოგადოებისა და როგორც წევრი ბათუმის ადგილობრივ სასკოლო კომიტეტისა დიდ სამსახურს უწევდა საზოგადოებას.

როგორც კარგი მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა, განსვენებული შარშან მოწვეული იყო მასწავლებლად ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში და სიკვდილამდე მასწავლებლობდა.

როგორც ადამიანი განსვენებული მეტად კეთილი და სიმპატიური იყო და ყველა პატივს სცემდა და თანაუგრძნობდა, ჯერ 50 წლისაც არ იყო და ძალღონით სავსეს კიდევ შეეძლო სამსახური თავის სამშობლოსათვის. ამიტომ მთელს ჩვენს საზოგადოებაში მძიმე მწუხარებას გამოიწვევს უდროოდ დაკარგვა გულწრფელის, უანგაროს მხნე და პატიოსან მუშაკისა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! .. **(გაზ „დროება“, 1909 წ. N 220)**.



გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით იუწყებოდნენ მისი და – ძმანი ბარბარე და ვლადიმერი და მამიდაშვილი ივანე ზურაბიშვილი, ასევე ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ თავადაზნაურთა საზოგადოების კომიტეტის გამგე და ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპედაგოგო საბჭო და მოსახლეობას აუწყებდნენ, რომ გრიგოლ ვოლსკის გამოსვენება მოხდებოდა 8 ოქტომბერს მისი ბინიდან, ტეხჩინსკის ქუჩა N 10-დან, დილის 9 საათზე პარასკევს ცხედარი რკინიგზით წასვენებულ იქნება დასაკრძალავად ქ. ბათუმში **(გაზ „დროება“, 1909 წ. N 222)**.

ვოლსკის გარდაცვალებას გამოეხმაურა გაზეთი „ ბათუმის იზვესტი“, რომელმაც აღწერა გრიგოლ ვოლსკის დაკრძალვის ამბავი: „11 ოქტომბერს დილიდანვე აუარებელი ხალხი შეიკრიბა, დაკრძალვას დაესწრნენ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, სამღვდელოება ეპისკოპოსის ლეონიდეს თანდასწრებით. დიდძალი ხალხი მოჰყვებოდა ცხედარს, საკრებულოს ტაძარში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. გალობდა მომღერალთა გუნდი, ქუჩაში უკრავდა სამხედრო მუსიკა. თვითმმართველობის შენობის წინ ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა, ქუთაისის ქალაქის თავმა ლორთქიფანიძემ და კ.დ. ბაქრაძემ სიტყვები წარმოთქვეს და დაახასიათეს განსვენებულის მოღვაწეობა, შემდეგ პროცესია გაემართა ქართველების ეკლესიისკენ. ამ გალავანში უნდა დაეკრძალათ მიცვალებულის გვამი. დაკრძალვის წინ ეპისკოპოსმა ლეონიდემ, დ. კლდიაშვილმა და ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლებმა – მასწავლებელმა ნ, ლორთქიფანიძემ და მოწაფემ შაშიაშვილმა სიტყვები წარმოთქვეს, კუბოს ამკობდა 29 გვირგვინი **(გაზ. „დროება“, 1909 წ. N 228)**. მწერალმა ნ, ლორთქიფანიძემ გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა გრიგოლ ვოლსკის გამოსათხოვარი წერილი:

„მშვიდად თითქოს მითვლემას აპირებსო, უეცრად ისე, რომ ახლო მეგობრებსაც არ გაუგონიათ ავადმყოფობა, გარდაიცვალა ცნობილი მგოსანი და საზოგადო მოღვაწე. არიან ადამიანები, რომელთა შესახედავი მოღვაწეობა, კაცობა მხოლოდ უმცირესი ნაწილია, მათ ბუნებაში ჩამარხული სიმდიდრისა, მშვენიერებისა, დამატკბობელი არის „შენ გეტრფი მარად“, „მე იქ აღვზრდილვარ“ და სხვა, სასარგებლო და ნაყოფიერი იყო ვოლსკის მოღვაწეობა ბათუმის თვითმმართველობაში, მაგრამ განა ამ ოციოდე წერილის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი? განა უფრო მეტი ფართო მოქმედებისთვის არ იყო

მომზადებული? რომ ჩვენი ცხოვრების უჩინარს და გამოჩენილს ქართველებს არ შეეკრათ მისთვის ფეხები? ვინ იცის მგესლმა გველმა რამდენს ლექსს....გაუხმო გესლით ძირი? ვინ იცის რამდენს საქმეს საგმიროს დაუხშო კარი!

ეხლა კი ... „ეხლა აღარ გეწევა სევდა დამწველი,
გულს ვერ დაგიღრინს, ვით მგესლი გველი"

უფროსო მეგობარ – ამხანაგო საყვარელო ძმავ" – ნ. ლორთქიფანიძე **(გაზ. „დროება", 1909 წ, N 221).**

ცნობილი ფაქტია, რომ ცხრაასიან წლებში ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბერძენი ექიმების ტრიანდაფილისების ოჯახი. უფროსი ტრიანდაფილისი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ის იყო ბათუმში ბერძნული სასწავლებლის დამაარსებელი და მისი ინტერესების დამცველი ქალაქის სათათბიროს წევრი, ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ბათუმის ჭაობიანი ადგილების დაშრობის ინიციატორი, ბათუმის კლიმატური სადგურის დამაარსებელი, მეუღლესთან ერთად ბათუმის სანაპირო ზოლის განაშენიანების ინიციატორი, ის იყო ცნობილი თავისი მრავალრიცხოვანი სამედიცინო შრომებით, როგორც ამიერკავკასიაში, ასევე რუსეთსა და ევროპაში **(სუიცა, ფ. 600, ან.1 საქ 624, ფ.18).....**მისი მკვლელობისათვის დააკავეს და სამართალში მისცეს უამრავი ადამიანი...სასამართლო პროცესი 1909 წლის 27 სექტემბრიდან 1909 წლის 8 ოქტომბრამდე მიმდინარეოდა. 1909 წელს 27 სექტემბერს, გაზეთმა „დროებამ" გამოაქვეყნა ამ საქმეზე დაკავებულ პირთა სასამართლოს შედეგები, საქმეს არჩევდა სამხედრო სასამართლო.- „ბათუმ.იზვესტია" იტყობინება, რომ ამ დღეებში იწყება ექიმ ტრიანდაფილისის მკვლელობის საქმე, რომელშიც მონაწილეობდნენ და სამართალში არიან მიცემულნი: რამიშვილი, ჯინჭარაძე, ჟღენტი, ცინცაძე, დოლიძე, ხასან რაჯებ ოღლი, მამედ – ქათიმ ოღლი, ბაიდარ სელიმ – ოღლი, იუნუსჩორდან ოღლი, ასლან კასპარ-ოღლი, თავდიშვილი და რევია.... არც ერთმა პირმა თავი დამნაშავედ არ სცნო **(გაზ. დროება", 1909 წ. N 214, 220 ).**

1909 წლის 8 ოქტომბერს გაზეთი „დროება" იუწყებოდა, რომ ექიმ ტრიანდაფილისის მკვლელობის გამო სამხედრო სასამართლომ უკვე გაარჩია საქმე და საბოლოო განაჩენი გამოიტანა: „სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ბრალდებულთ: ჯინჭარაძეს, რამიშვილს, ჟღენტს, ასლან კასპარ – ოღლის, ცინცაძეს, თავდიშვილს და იუსუპ ჩარდან –

ოღლის, ხოლო რევიას, ხასან რეჯებ – ოღლის, ბაიდარ სელი – ოღლის, მემედ კადირ – ოღლის, ალი რეჯებ- ოღლის – მიესაჯათ უვადო კატორღა. ეს განაჩენი დასამტკიცებლად წარედგინა კავკასიის ნამესტნიკს. ბრალდებულთა დამცველებმა ელიავამ და კაჩეხოვმა განაჩენი გაასაჩივრეს **(გაზ. „დროება", 1909 წ. N 222)**.

გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" 1903 წელს ვრცელი ფელეტონი (სტატია) მიუძღვნა ოსმალეთის საქართველოს შემოერთების 25 წლისთავს: „1978 წლის 22 იანვარს დროებითი მშვიდობიანობის პირობა იქმნა შეკრული რუსეთსა და ოსმალეთის მთავრობას შორის. იმავე წლის 15 მაისს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, რომლის ძალითაც ბრწყინვალე პორტამ დაუთმო რუსეთს არტაანი, ყარსი, ბათუმი და სხვა ადგილები, რომელნიც ოდესღაც შეადგენდნენ საქართველოს სამეფო ნაწილს. ოსმალეთი ყოყმანობდა და აგვიანებდა ბერლინის ტრაქტატის შესრულებას, ადგილობრივ მოქალაქეებს ამზადებდა აჯანყებისთვის, მაგრამ რუსეთი ოსმალეთს ომის განახლებით დაემუქრა, უკანასკნელი იძულებული გახდა ჯარები გამოეყვანა წაგებული ადგილებიდან. 20 აგვისტოს ჩააბარა ართვინი, 25 აგვისტოს ბათუმი. 30 აგვისტოს რუსეთის მხედრობა გამოეთხოვა ოსმალეთის მხედრობას. 2 სექტემბერს ბათუმის ოლქის ახალმა უფროსმა კამაროვმა სადილი გაუმართა ოლქის ბეგებს და აღალებს, რომელზედაც შარიფ ბეგ ხიმშიაშვილმა შემდეგი სადღეგრძელო დალია: „ ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვუსურვოთ მათ ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლებისგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და კაცობრიობა!"

ამრიგად შემოუერთდა საქართველოს თითქმის სამასი წლის მოშორების შემდეგ ერთი უდიდესი და უწარჩინებულესი ნაწილი. საქართველო თუ იყო მძლავრი, მაშინ როდესაც დღევანდელი გამაჰმადიანებული ქართველები მასთან იყვნენ, როდესაც ძველი მესხეთი საუკეთესო შვილებს უზრდიდა მამულს. უფრო ნიჭიერი და შერჩეული ელემენტი საქართველოს განაპირებზე სცხოვრობდა და ოსმალეთის შემოსევამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში შთანთქა იგი, მოჰგლიჯა საქართველოს. უკანასკნელმა რუს-ოსმალოს ომმა, რომელიც რასაკვირველია, სრულებით არ ემსახურებოდა ქართველების ინტერესებს...... უნებლიეთ ქართველ ერს დიდი სამსახური გაუწია...მართალია მოლოდინი ბოლომდე არ გამართლდა, ლაზისტანი ისევ ოსმა-

ლეთში დარჩა, მაგრამ ყველანი თანაგრძნობას უცხადებდნენ დაბრუ-ნებულ დებსა და ძმებს"....

20 ნოემბერს ბრწყინვალე სადილი გაუმართეს ქართველმა მოღ-ვაწეებმა ოსმალეთის საქართველოს დეპუტაციას, შუა სადილზე გრ. ორბელიანმა სიტყვა წარმოთქვა: „ ჩვენცა ეგრეთვე საქართველოს შვილნი ვიყავით, დაკარგულნი ერთმანეთისთვის საუკუნეების გან-მავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვია-რეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები, თვალი და გული გვეჭირა თქვენსკენ, ბატონებო და ვინატროდით როდის ამოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა ... დღეის იქით ლხინშიაც და ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა-საქ-რთველოს შვილნი“, ....სიტყვა წარმოთქვა ალ. ზუბალაშვილმა: „ეხლა ნებით თუ უნებლიეთ ხომ ჩვენნი ხართ...გავიცანით ერთმანეთი და კიდევ უფრო გავიცნობთ.. სულ ჩვენნი იქნებით ერთად ვიქნებით და ერთად გავწევთ უღელსა საზოგადო წარმატებისთვის“... ზუბალაშვი-ლის სიტყვას მოჰყვა დ. ყიფიანის გამოსვლა: „ ორასმა და სამასმა წელმა განვლო ისე, რომ აქაურ ქართველობას იქაურის ქართველები-სა არა გვესმოდა რა, ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ ჩვენ იმათთვის, ჩვენ იმათი არა ვიცოდით რა, იმათ ჩვენი“... დასარულს სიტყვა წარმოს-თქვა ბატონმა აკაკიმაც: „ბევრი ქართული ლხინი გვინახია...დღევან-დელი ლხინი ვხედავთ სხვა გვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარუ-ლი უღრუბლო!“ ასეთის პოეტურის სიტყვებით მიეგებნენ ჩვენი მოღ-ვაწენი დაკარგულის დაბრუნებას. მათი სიხარული გულრწფელი იყო, ყოვლად უგრძნობი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ყურადღება არ მოექცი-ათ ისეთ დიად საქმისთვის, მაგრამ მათი სიხარული იყო უღონო, ხან-მოკლე და უფერული, უშინაარსო...

ვიდრე საზოგადოება ასე დღესასწაულობდა ოსმალეთის საქ-რთველოს შემოერთებას, რას შვრებოდნენ თვითონ გამაჰმადიანებუ-ლი ქართველები, როგორ უყურებდნენ სამშობლოში დაბრუნებას? მარტო ძლიერ მცირე რიცხვს მათგანს, სულ რამდენსამე პირს ესმო-და შეერთების მნიშვნელობა და უყურებდა ამას, როგორც საერთო ეროვნულ, ქართულ საქმეს. დიდი უმრავლესობისათვის, უბრალო ხალხისთვის სამწუხაროდ არასასურველი იყო ქრისტიან რუსეთში გადმოსვლა და ქრისტიან ქართველებთან შეერთება... გამაჰმადიანე-ბული ქართველები, გარდა ზოგიერთებისა, არა ჰგრძნობდნენ თავია-ანთ თავს ქართველებად: „ჩვენ ვართ მაჰმადიანები, მაშასადემე თათ-

რებიო“ და რომ ქართულად ლაპარაკობდნენ, ამის ასახსნელად ამბობდნენ: „ჩვენი ქვეყანა ოდესღაც რუსებს დაუპყრიათ და მაშინ ბევრი გურჯები გადმოსახლებულან აქაო, ამათგან ჩვენც გვისწავლია იმათი ენა და შემდეგ, თუმცა ურუსებისაგან განვთავისუფლდით, ქართული ენა მაინც დარჩენილა ჩვენშიო, მართალია ზოგან ახსოვდათ, რომ ოდესღაც ქართველები ყოფილან, მაგრამ დღეს სრულებით არ უნდოდათ ქართველობა. ქართველები ვიყავით, ეს ქვეყანა საქართველო იყო, მხოლოდ ძალით და ნებით ღვთისათა ოსმალთა დაიპყრეს ეს ადგილები, აგვეხილა ღვთისავე ძალით თვალები, და გვიხსნა ღმერთმა ურწმუნოებისგან (ქრისტეს სარწმუნოებისგან)...მოგვანიჭა ჭეშმარიტი და მართალი სარწმუნოება, (მაჰმადიანობაო)....ახლა ჩვენი ცოდვებისთვის დაგვსაჯა უფალმა და მოსანანიებლად ჩაგვყარა თქვენს ხელშიო".. .

ოცდახუთმა წელიწადმა განვლო ამის შემდეგ, შეიცვალა ქართველი მაჰმადიანების გული, დაგვიახლოვდნენ ისინი ჩვენ? აღარ ვეუცხოვებით? სურათი არ შეცვლილა და მდგომარეობა საქმისა თითქმის იგეთივეა, როგორც იყო ოცდახუთი წლის წინად, თითქოს ჩვენს განათლებულს საზოგადოებას თითქოს არა გაუკეთებია რა მაჰმადიანი ქართველებისთვის... საჭიროა ახალის ძმების დაახლოვება, ახლოს გაცნობა, ზნე-ჩვეულებების შესწავლა, საჭიროა სკოლების გახსნა, წიგნების გამოცემა, ქართული ენის გავრცელება. მაგრამ ბათუმის სკოლის გარდა არაფერი დაარსებულა (სადაც ათიოდე ქრისტიანი სწავლობს), გარდა ზ. ჭიჭინაძისა, რომელსაც დაუფასებელი სამსახური მიუძღვის ამ საქმეში, არავინ მისულა ქართველ მაჰმადიანებთან.

დრო არის ამდენის ხნის შემდეგ მაინც მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, რომელიც თავიდანვე შევიგნეთ, დღეს უფრო საჭიროა ყველა ქართველი ტომის დაახლოვება და შეერთება.

ქართველი მაჰმადიანები დაკარგულნი მთლად გადაგვარებულნი არ არიან. მათ გულში თუ ცხადი არა, ინსტიქტური ქართველობა მაინც არის.. ჩვენ და მათ შორის სარწმუნოებრივი ფანტაზიაა აღმართული, რომელიც დაირღვევა განათლების შემწეობით.....ქართული წიგნი, ქართულ საერთო ენაზე დაბეჭდილი წიგნი – აი უძლიერესი კავშირი მტკიცედ შემაერთებელი ქართველებისა!! – **კალამი**. **(გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ, N 2251).**

ქართველ მამადიანებთან მდგომარეობა თანდათან იცვლებოდა, 1907 წელს გაზეთი „ისარი“ წერდა: „არავისთვის ახალი ამბავი არ

არის, ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა შორის სწავლა-განათლების წყურვილი კარგა ხანია დაიბადა. მაგრამ ცხოვრების ცნობილი პირობების გამო საქართველოს ეს ნაწილი ვერ ეღირსა, არა თუ ხეირიანს, უხეირო სკოლებსაც კი, მხოლოდ ახლა ქობულეთის ნაწილში გულო-აღა კაიკაციშვილისა და სხვათა მეცადინეობით უკვე შესდგომიან სკოლების დაარსებას. სკოლები გაუხსნია სამოსწავლო უწყებას, მაგრამ სკოლებიდან სრულიად გამოუდევნიათ სამშობლო დედა ენა. ქობულეთის წარმომადგენლებს გიულ-აღა კაიკაციშვილმა, ჰუსეინ-აღა გოგიტიძემ, ახმედ ბეჟუაშვილმა და სხვებმა, სულ 15 კაცმა საერთო მოხსენება წარუდგინეს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა მარშლის თანაშემწეს თავად პ. თუმანიშვილს: „სწავლა – განათლების საქმეს ჩვენ კაი თვალით შევხედეთ, ქობულეთში სკოლების გახსნა ვითხოვეთ, ბევრის ხვეწნის შემდეგ გაგვიხსნეს სკოლა, მე 4000 მანეთად ღირებული ადგილი შევწირე, ასევე მოიქცნენ სხვა მაჰმადიანები: ზოგმა ქვა მიაწოდა, ზოგმა კირი, ზოგმა ფული....სკოლებში ყველგან შეიტანეს რუსული ენა, როგორც სახელმწიფო, ოსმალური როგორც რჯულის ენა, ამ ენებისა ჩვენს ბავშვებს არაფერი ესმით, რადგან მათ ქართულის ენის გარდა სხვა ენა არ იციან...გთხოვთ დახმარება გაგვიწიოთ, ჩვენს სკოლებში დედა ენაზე სწავლებაც იქნეს შემოღებული... **(გაზ. „ისარი“, 1907 წ, N 263).**

ქართული ენის ძირფესვიანი შესწავლის სურვილი გაუჩნდათ სტამბულში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებსაც. გაზეთმა „დროებამ“ 1910 წელს რუბრიკით "ახალი ამბავი" მკითხველს მიაწოდა ასეთი ინფორმაცია: „ოსმალეთის პარლამენტში, სხვათა შორის დეპუტატად არის ქართველი მაჰმადიანი მოლა ჰასან ფეჰმი ირემაძე, როგორც გვატყობინებენ ირემაძეს აზრადა აქვს საქართველოში ჩამოსვლა და ქართველების გაცნობა. იგი უკვე შესდგომია ჩვენი წარსულის შესწავლას და ქართულ ენაში გავარჯიშებას. ქართულთან ერთად რუსულსაც. დეპუტატი ირემაძე ცოლ-შვილის პატრონია და გადაუწყვეტია საქართველოდან დაიბაროს მასწავლებელი ქალი და შეასწავლოს შვილებს ქართული. იმის ოჯახში ქართულს ლაპარაკობენ, მაგრამ წერა-კითხვა არ იციან.

სტამბოლში ბიბლიოთეკა – სამკითხველოს გახსნამ და რამდენიმე ინტელიგენტის მეცადინებამ ნაყოფი გამოიღო და მაჰმადიანი ქართველები ილვიძებენ. გამოღვიძება დაეტყო აგრეთვე, სტამბულელ ქართველ კათოლიკეთაც. ესენიც მხნედ შესდგომიან ქართული ისტორიისა და მწერლობა ცხოვრების შესწავლას, ამას გარდა ბატონ

ვარდიძის მეცადინეობით საქართველოდან 9 ახალგაზრდა ჩაუყვანიათ სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში სასწავლებლად, მასწავლებლად მიუწვევიათ რომში ახლად სწავლა შესრულებული ქართველი კათოლიკე, უნდათ რომ ქართულის სწავლება საფუძვლიანად მოაწყონ და თუმცა სახელმძღვანელოები ჰქონიათ, მაგრამ დაძველებული ყოფილა, ამიტომ თხოულობენ აქედან გაუგზავნოთ „ბუნების კარი“, ისტორია, „ვეფხისტყაოსანი', გეოგრაფია, „სიბრძნესიცრუისა“, ქართული გრამატიკა, ქართული ქრესთომატია, კარგი იქნება ამ წიგნებს შესწირავდნენ. სთხოვენ ავტორებს და გამომცემლობებს სხვა ქართული საკითხავი წიგნებიც მიაწოდონ, კარგი იქნება ჟურნალ-გაზეთებსაც თუ დაუთმობენ თითო ცალს თავიაანთი გამოცემებისას სტამბულის ქართულ ბიბლიოთეკას (**გაზ. „დროება“, 1910 წ. N 35**).

ქ.წ.კ.გ. საზოგადოების განყოფილების ბათუმში დაარსებამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა აჭარის განათლების სისტემაში. როგორც გაზეთი "დროება" 1910 წლის თებერვალში რუბრიკაში „მოწერილი ამბებით" იუწყებოდა, ბათუმის წ.კ.გ. საზოგადოებისთან ჩამოყალიბდა საპედაგოგო სექცია, რომლის თავმჯდომარე იყო ილია ფერაძე, წევრები: ექ. შატილოვი, ნ გოგიტიძე, ქ-ნ ამირაჯიბისა, ს. მდივანი და ა. დეკანოზიშვილი. აქვე ვეცნობით ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში დანერგილ სიახლეს: „კარგი წესი შემოიღეს ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიაში, აქამდის მოსწავლენი მდიდრების შვილები მაინც სწავლის გათავებამდის ყიდულობდნენ ათასგვარ ტკბილეულობას, ბევრი ავადაც ხდებოდა ცუდი ხილისა და სანოვაგისაგან. მეორეს მხრით ღარიბებს არაფერ გააჩნდათ და შურის თვალით შეჰყურებდნენ თავიაანთ შეძლებულ ამხანაგებს. ეხლა, ყეველას თვით გიმნაზიაში 12 საათზე ეძლევა თბილი საუზმე და ჩაი. კერძების განაწილებაში მორიგეობენ მოწაფეთა დედები. შეძლებულ მშობელთ გაწერილი აქვთ საუზმისთვის ორორი მანეთი, სულ 140 მშობელს. შეუძლებელი მოსწავლენი, რიცხვით 30 უსასყიდლოდ საუზმობენ. ეს კეთილი იდეა ეკუთვნის მშობელთა წრის თავმჯდომარეს ბ-ნ მელიქ – შახნაზაროვს, მანვე შემოიტანა წინადადება სარეპეტიციო კურსების შესახებ, სუსტ მოსწავლეთა დასახმარებლად. (**გაზ. „დროება“, 1910 წ. N 33**).

მაჰმადიან ქართველებისთვის ბათუმში აზიზიეს მეჩეთთან არსებობდა სასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდა მაჰმადიანებს ამზადებდა სასულიერო მოღვაწეობისთვის: „სასწავლებელი მეტად მოუწყობელია სიღარიბის გამო და 30 კაცი მოთავსებულია ერთ პატარა

ოთახში, არც ღმერთი და არც კაცი არ დაიწუნებს, რომ ქალაქმა დახმარება გაუწიოს ამ სასწავლებელს, მით უმეტესად ამისათვის დიდი ფული არ დასჭირდება. წლიური დახმარება 500 მანეთით საგრძნობლად გააუმჯობესებს სასწავლებლის საქმეს..." **(გაზ. „ცნობის ფურცელი", 1906 წ. N 3027)** .

ქალაქი ბათუმი, საზღვრისპირა და ზღვისპირა ქალაქი ყოველთვის გამოირჩეოდა საწარმოების სიმრავლით. ხშირი იყო როგორც მუშათა შორის, ასევე მეპატრონეებთან დაპირისპირება, ხშირი იყო გამოსვლები ბინიათ ოღლის თუთუნის ფაბრიკაში, სადაც მუშები თვეობით იფიცებოდნენ: "ბინიატოღლის ფაბრიკის მუშები ექსპლოატატორ ხაზეინის წყალობით აუტანელ პირობებში ვიმყოფებით. ობობა ბინიატ ოღლი ჩვენი ხელით შექმნილ სიმდიდრით გალაღებული, სარგებლობს რა რეაქციით, მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობს, რომ აღმოფხვარას ჩვენი გულიდან სოლიდარობის სურვილი და მით გვაქციოს მის ყურმოჭრილ მონებად"... **(გაზ. „ლახვარი"1907 წ. N 34).**





გადამწვარი როტშილდის ქარხანა

**(გაზეთი "ცნობის ფურცლის"სურათებიანი დამატება 1901 წელი N1901წ, N 1645,)**

გამაჰმადიანებული აჭარელი ქართველები

**(გაზეთი "ცნობის ფურცლის"სურათებიანი დამატება 1901 წელი N1901წ, N 1645,)**

1902 წელს კიდევ ერთხელ გაიფიცნენ როტშილდის ნავთის ქარხანის მუშები, გაზეთმა „ივერიამ" გამოაქვეყნა გაზეთ „კავკაზის"ინფორმაცია: „ბათუმიდან მოვიდა ამბავი 4 მარტს როტშილდის ქარხნის მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა, რადგან არ შეასრულეს

მათი კანონიერი მოთხოვნები. როტშილდის ქარხანა დაიკეტა. 8 მარტს ქარხნის მუშებმა, დაახლოვებით 300 კაცმა თავი მოიყარა ბათუმის პოლიციაში და მოითხოვეს გაეთავისულებინათ წინა დღით დაპატიმრებულნი, მოთავენი ქარხნის მუშაობის შეწყვეტი-სა, პოლიციამ ურჩიათ დაშლილიყვნენ. არ დაშალნენ და ყველანი საპატიმროში გააგზავნეს. 9 მარტს კიდევ გამოვიდნენ წინა დღე-ებში დაკავებულთა გათავისუფლების მოთხოვნით. მოსალოდნელი უწესრიგობის აცილების მიზნით, იქ იდგა სალდათების როტა. მო-სულმა ბრბომ (მუშებს ასე იხსენიებს ავტორი) ქვები დაუშინეს სალდათებს, მათაც საპასუხოდ სალდათებმა სროლა ატეხეს....მუ-შებიდან 13 კაცი გარდაიცვალა, სალდათებიდან ერთი **(გაზ. „ივე-რია", 1902 წელი, N 54).**

გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ ინფორმაციას ბათუმის ამინ-დის ცვალებადობაზე, 1909 წელი საშინელი გვალვიანი წელი იყო. ბათუმიდან იტყობინებოდნენ: „თუმცა შავი ზღვის სანაპიროსა ვართ, მაგრამ მთელმა გაზაფხულმა გვალვით გაიარა, სისველეს ნაჩვევი აქაური ნიადაგი, მეტად შეაწუხა უცვარობამ, მხოლოდ მა-ისის უკანასკნელ კვირას დაიწყო წვიმები და აგერ მეორე კვირაა გადაუღებლად წვიმს.... საღამოს სამხრეთ-დასავლეთის ქარმა და-ბერა ძლირად და 5-6 წამში სახლებს სახურავები აანგრია, ტელე-ფონ-ტელეგრაფის მავრთულები დაწყვიტა, ბევრი ხე ძირიანად ამოაგდო, ზღვის ნაპირას მდგომი გემები მოიტაცა, ზოგი ქობუ-ლეთს, ზოგი ფოთს გაეგდო, ორი თუ სამი მენავეც დაუხვრჩია.... მეორე დღეს ზღვა საშინლად აღელდა, სამხედრო კლუბს და და ციხეს კედლები დაუნგრია, ვაჟთა გიმნაზიის მიდამო წალე-კა...**(გაზ. „დროება", 1909 წ. N 129).**

ასეთ საშინელ ამინდზე სწერდა გაზეთი „ისარი" 1907 წელს „სა-შინელი დღეები იყო შავ ზღვაზედ 18, 19 ნოემბერს...ქარიშხალი, ბნელი და ბურუსიანი ღამეები, სწორედ ჯოჯოხეთს წარმოადგენ-და, მეზღვაურებს გზა- კვალი აერიათ და სასოწარკვეთილებას მი-ეცნენ, რომელმა გემმა სად მოასწრო გაჩერება, იქ შეაფარა თა-ვი...როგორც ნაფოტს ისე ათამაშებდა ვეებერთელა ორთქმავალ-გემებს"... გემ „ვესტას" 40 მგზავრიდან 22 ადამიანი გადაერჩინა.... კაპიტანის თანაშემწე არსენიევი იხსენებდა: გათენებისას, როცა ნისლი ცოტა გადაიყარა, დავინახეთ მრავალი ადამიანის გვამი ზღვაზედ მოტივტივე....**(გაზ. „ისარი", 1907 წ. N 263).**

„გაზეთ ცნობის ფურცელის" ჰქონდა ასეთი რუბრიკა: „მიმოს-

ვლა მატარებლებისა“, სადაც სხვა მატარებლებთან ერთად ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ბათუმის მატარებლის მოძრაობის შესახებ. ტფილისიდან ბათუმში N 2- სწრაფი მატარებელი დილის 6 საათზე,

N 3- საფოსტო ნაშუადღევს 5-საათსა და 9 წუთზე, N 6 – სამგზავრო საღამოს – 7 საათსა და 24 წუთზე გადიოდა. ბათუმიდან თფილისისკენ N2- სწრაფი – ღამით 2 საათსა და 2 წუთზე; N 4 – საფოსტო- დილით 11 საათსა 34 წუთზე; N6 – საგზავრო საღამოს 6 საათსა და 39 წუთზე. **(გაზ."ცნობის ფურცელი". 1902წ. N 1816,).**

1909 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ქართველიშვილის სტატია – „ნინოობა სტამბულში“. სათურიდან უკვე ჩანს, რომ ქართულმა გენმა თავისი გაიტანა ...

..."1909 წელს პირველ იანვარს, ანუ ჩვეულებრივ 14 იანვარს, სტამბულის ქართველობამ იდღესასწაულა ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღეობა. წირვა გადაიხადეს სტამბულის ფერიქვეის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ქართულ ენაზე, საზოგადოებაც ბევრი დაესწრო. წირვის დამსწრე საზოგადოების მიმართ პატრი მერაბმა ვრცელი და მეტად ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა: „ ქართველო ერო, მხურვალეა შენი ნატვარა, უკვდავია შენი იმედი, მაღალია ნიჭი და გონება შენი!

მაშ გული გქონდეს ქართველო გვარო, მაღლა და უცვლელად, ვითარცა საქართველოს გამომხატველი კავკასიონის მთა, რომლის წვერი ცასა სწვდება და იკარგება ცის სილურჯეში და ფართო ძირი აყვავებულია მწვანედ. ლურჯი სახეა ნატვრისა, მწვანე იმედისა და როგორც იგი ფერადნი, უკვდავია ნატვრა და იმედი შენი.

ამნაირად ორფერადიანია ჩვენს გულში გამოსახული ჩვენი „ერთობის" დროშა, გამომხატველი ლურჯით ღვთისა და მწვანით სამშობლოსი, ამ უცხოეთში ლურჯით ნატვრისა, მწვანით იმედისა, ლურჯით ქრისტიან ქართველებისა, მწვანით ქართველ მუსულმანებისა. მაღლა, სტამბულის ქართველებო თქვენი დროშა, როგორც კავკასიონის მთა. უძრავად მდგარი, ზღვისა ზღვასთან შემაერთებელი, ქვეყნისა ცასთან და სამშობლოდან გაფანტულ შვილებზედ მწუხარედ გადმომზირალი!

ქართველთა მეოხო წმინდაო ნინო, მოხედე შენს ხვედრილ ქვეყანას! **(გაზ. „დროება“, 1909 წ. N 25.)**

**გამოყენებული წყაროები:**

1. გაზეთი "ცნობის ფურცელი" , 1901-1906 წწ, თბილისი;
2. გაზეთი "ცნობის ფურცელის" სურათებიანი დამატება, 1901-1906 წწ, თბილისი.
3. გაზეთი "ივერია", 1902წ. თბილისი;
4. გაზეთი "დროება", 1908-1910წწ, თბილისი;
5. გაზეთი "ისარი", 1907 წ. თბილისი;
6. გაზეთი "ლახვარი"1907 წ.თბილისი;
7. სუიცა, ფ. 600, ან.1, საქ. N 624.

*Tinatin Jabadari*

***Ajara on the pages of the Georgian press***
*(Beginning of the 20th century);*

***Summary***

At the beginning of the 20th century, the Georgian press was not so diverse. Despite many difficulties, Georgian daily, political, literary or party newspapers were published. In those years, the foundation was laid for cyconography. Despite the fact that newspaper editions had to live in difficult conditions, they managed to inform the reader not only about Georgian, but also world events, with the help of various agencies, which was successful.

The topic presents the stormy life of the city of Batumi and the Batumi side at the Beginning of the 20th century: on the work of the Batumi administration, relations with Georgian Muslims, education, the accession of the Adjara Territory to Georgia, the events of 1905-1906, the actions of public figures of Adjara, crimes committed by criminals in Batumi. The topic presents materials from Georgian newspapers at the beginning of The 20 th century:" Iveria", "Reference Sheet", "Reference Sheet Pictures", "Timelines", "TimelineAdditions," "Arrows", "Lakhvari Sheets.

*Татьяна Клынина*

# *ГОСУДАРСТВЕННЫЙ ДЕПАРТАМЕНТ США КАК ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ: ИСТОРИЯ И ФУНКЦИИ*

На сегодняшний день функционирование государства требует наличие разветвленной системы власти и политических институций, которые способны гармонично взаимодействовать между собой для достижения одной конкретной цели – процветания государства, одним из аспектов которого на протяжении тысячелетий является не только стабильное экономическое развитие, но и международная поддержка и признание, что, в свою очередь, требует слаженности действий политических лиц и институций внутри страны.

В государстве одним из главных политических институтов его функционирования на международной арене является министерство иностранных дел (или же департамент, офис и т.д., в зависимости от внешнеполитической традиции отдельно взятой страны), которое консультирует президента в вопросах проведения внешней политики и поддерживает международные отношения.

В Соединенных Штатах Америки организация внешней политики находиться во введении Государственного департамента, который с конца 80-х годов XX века вступил в четвертое столетие своего существования и по праву может считаться флагманом дипломатии как внутри страны, так и за её пределами. Конституция Соединенных Штатов Америки, разработанная в Филадельфии летом 1787 и ратифицированная штатами в следующем году, наделила президента ответственностью за проведение внешнеполитического курса американской нации. Тем не менее, вскоре стал вопрос о необходимости создания определенной исполнительной власти, которая будет поддерживать президента Дж. Вашингтона в ведении дел нового федерального правительства. Палата и Сенат приняли и одобрили закон о создании Департамента иностранных дел 21 июля 1789, и президент Дж. Вашингтон, подписав этот закон 27 июля, сделал Департамент иностранных дел первым федеральным агентством, созданным в соответствии с новой Конституцией. Этот закон и сегодня остается основным нормативно-правовым актом функционирования Государственного департамента США. 15 сентября 1789 дополнительный закон изменил название агентства на Государственный департамент и возложил на него дополнительные внутренние обязательства, которые, в конечном итоге, были переданы

в различные ново созданные в течение XIX века ведомства и учреждения [7].

Первым государственным секретарем был назначен Томас Джефферсон, который до этого находился на службе во Франции в качестве американского министра. Вновь созданый Государственный департамент временно располагался в Нью-Йорке и в количественном составе был представлен государственным секретарём и его ближайшими заместителями, несколькими клерками и переводчиком. В начале 1800 года постоянной локацией Госдепа стал Вашингтон, округ Колумбия [2]. До 1825 года количество служащих в Департаменте увеличилось до более чем 20 сотрудников [7].

Американская дипломатическая служба медленно расширялась в конце XVIII и в начале XIX века, что было связано с политикой изоляционизма и нежеланием американских граждан иметь широкие дипломатические контакты с европейцами. Для сравнения, в 1790 году Соединенные Штаты направили своих уполномоченных министров только в две страны – во Францию и Великобританию. Правда постепенно эта цифра увеличилась, и в 1860 гг. достигла отметки 33. Однако, скорее всего, это было связано не с изменением американской позиции в отношении изоляционизма, а с развитием американской торговли, что требовало защиты американских кораблей за границей, что являлось одной из «внутренних обязанностей» Государственного департамента [10].

Во время пребывания на должности госсекретаря Уильяма Генри Сьюарда, что совпало с гражданской войной, позиции Госдепа получили невиданную силу и значимость. Секретарь Уильям Сьюард был главным советником президента Авраама Линкольна по широкому кругу актуальных не только военных вопросов, но и иностранных дел. Вследствие этого полномочия Государственного департамента существенно увеличились и после окончания гражданской войны он получил более подходящую бюрократическую структуру.

В 1860 году насчитывалось 480 консульств, коммерческих и консульских учреждений за рубежом, а к 1890 году это число возросло до 760. В 1895 году президент Гровер Кливленд выдал правила, которые требовали заполнения вакансий в дипломатической службе на основании письменных экзаменов, в том числе языковых тестов [8]. Государственный департамент, дипломатические и консульские службы расширились и модернизировались в ответ на расширение американских коммерческих и культурных интересов на рубеже XIX – XX веков. Однако предостережения и традиционный консерватизм,

который отражал амбивалентность большинства людей по-прежнему доминировали в Государственном департаменте [1]. 1900 – 1940-е годы считаются одним из существенных периодов в управлении иностранных дел великой державы. За это время количество сотрудников Госдепартамента в Вашингтоне, округ Колумбия, 91 человека и бюджет в размере $ 141000 в 1900 году выросли до 1128 сотрудников и бюджет в размере $ 2800000 в 1940 году. Госсекретарь Ф. Нокс в 1909 году ввел новые политико-географические подразделения, чтобы справиться с основной работой Государственного департамента, значительно расширил роль юрисконсульта Госдепа и назначил для выполнения растущих административных обязанностей третьего помощника госсекретаря. Также были созданы информационные отделы и отделы для осуществления торговых отношений [1].

Первая мировая война принесла некоторые изменения, которые нельзя было остановить. Одним из важнейших последствий войны стало увеличение занятости женщин и их рост в лидерстве в Государственном департаменте. В период между I и II мировыми войнами женщины составляли более половины рабочей силы в Государственном департаменте, хотя большинство из этих должностей были самыми низкими в рейтинге канцелярских рабочих мест. Афро-американцы также работали на должностях министерства с низким уровнем заработной платы. Распределение рабочих мест в правительстве по расовой принадлежности, начатый во время президентства В.Вилсона, и в дальнейшем ощущался в Государственном департаменте и ограничивал афро-американцев в праве продвижения по карьерной лестнице. Евреи также ощущали на себе практику «исключения», которая была распространена в других местах государственного устройства и более широко применялась в деловом и профессиональном мире [1].

После нескольких десятилетних усилий Государственным департаментом, Конгресс США 24 мая 1924 принял закон Роджерса о создании единой (сочетание дипломатической и консульской служб) и профессиональной внешней службы Соединенных Штатов. Этот акт стал основой для назначений и продвижений, и способствовал расширению дипломатического аппарата для представления американской нации за рубежом. Дипломатические и консульские служащие были объединены в единую службу, и, наконец, согласно закону 1926, предполагалось впервые строительство посольских и консульских зданий за рубежом [6].

После окончания Второй мировой войны и в течение следующих

15 лет в американской внешней политике преобладали серии кризисов, как больших так и малых. Основные направления послевоенной внешней политики американского правительства были изложены в документе Совета национальной безопасности № 68 от 1950 года, который призвал к большому военного наращивания ядерных и обычных вооружений. Именно поэтому, следуя данному документу, государственные секретари Джеймс Ф. Бирнс, Джордж К. Маршалл, Д. Ачесон, Джон Фостер Даллес и Кристиан Е. Гертер тесно сотрудничали с президентами Г. Трумэном и Д. Эйзенхауэром для модификации внешней политики США, и как следствие, число сотрудников на момент 1950 года выросла до 9 тысяч человек [1]. Госсекретарь Дж. Маршалл, имея большой опыт военного командования, создал в 1947 году исполнительный секретариат и штаб-квартиру планирования, чтобы организовать и управлять процессом принятия решений Госдепартаментом и осуществлять политическое планирование в далекой перспективе. Замысел Дж. Маршалла оказался настолько успешным, что продолжал существовать без существенных изменений до конца XX века [9].

В течение нескольких лет после окончания Второй мировой войны стало очевидно, что Государственный департамент был переполнен персоналом и задачами бесчисленных военных учреждений и обремененный широкими новыми глобальными задачами мировой сверхдержавы, а поэтому не мог действовать так решительно и быстро, как этого требовала мировая ситуация. В 1949 году была проведена комплексная реорганизация Государственного департамента: появился ряд центров крупных директивных бюро, таких как бюро по вопросам Межамериканских дел, бюро по вопросам Дальневосточных дел, бюро по вопросам Европейских дел, бюро по вопросам Ближнего Востока и Африки, бюро по работе с международными организациями и отношениям в Конгрессе [1]. Департамент создал Бюро по консульским вопросам в 1952 году, Бюро по разведке в 1957 году и Бюро по делам культуры в 1960 году [1].

На 1960 год Соединённые Штаты были представлены за границей 78 посольствами, 2 миссиями и 2 представительствами. Закон о реформе иностранной службы 1946 года создал структуру для современного эффективного обслуживания с консолидированной классификационной системой, программами повышение и выходом на пенсию, а также улучшением политики надбавок и назначений. Институт иностранной службы обеспечил специальную подготовку по изучению иностранных языков и различные профессиональные тренинги. В 1950-х годах Департамент сделал первые серьезные шаги

по набору женщин, темнокожих и других национальных меньшинств, хотя о полноценной интеграции афро-американцев в Государственный департамент приходиться говорить не раньше чем в 60-е годы XX в. [4].

Международные политические кризисы 60-90-х годов XX века, такие как Кубинский ракетный кризис в 1962 году, конфронтация в разделенном Берлине в 1963 году, участие во Вьетнамской войне в 1960-х и начале 1970-х годов, применение военной силы против иракской агрессии во время операции «Буря в пустыне» в 1991 году, привели к тому, что стремясь справиться или, по меньшей мере, отреагировать на эти проблемы внешних отношений, президенты США не только обращались к Государственным секретарям и их департаментам, но также привлекали к процессу управления и принятия решений большее число других учреждений, которые с течением времени приобрели определенные обязанности в сфере иностранных дел [3].

На сегодняшний день государственный департамент является советником президента США, он несёт общую ответственность за формирование и воплощение в жизнь и воплощение в жизнь внешней политики Соединённых Штатов. Это министерство определяет интересы Америки за границей, даёт рекомендации относительно текущей политики и на перспективу, осуществляет необходимые шаги с целью воплощения намеченной политики. Департамент поддерживает контакты и отношения между Соединёнными Штатами и иностранными государствами, даёт советы президенту относительно признания новых стран мира и правительств, составляет договора и соглашения с другими государствами и выступает от имени Соединённых Штатов в Организации Объединённых Наций и других значимых международных организациях [5]. Однако Государственный департамент лишён права подписывать договора даже от имени Соединённых Штатов Америки. Такая прерогатива предоставлена только президенту США и подписанные им договора вступают в силу только после их одобрения в Сенате двумя третями голосов.

Вместе с президентом, глава департамента – Государственный секретарь – поддерживает все официальные контакты с иностранными правительствами. Государственный департамент содержит более 250 дипломатических и консульских представительств по всему миру. Функции и полномочия, а также структура Государственного департамента могут изменяться в зависимости от реалий времени. Так, например, в 1999 году в его структуру был включен комитет по контролю над вооружением США, Агентство по разоружению и

информационное агентство США с соответствующими функциями [5].

Таким образом, Государственный департамент США функционирует как дипломатическое крыло федерального правительства, решая вопросы иностранных дел с другими странами и международными организациями. Основная задача Государственного департамента – продвижение американской внешней политики по всему миру. Принято считать, что департамент продвигает цели и интересы США в мире благодаря своей главной роли в разработке и реализации внешней политики президента. Хотя в действительности это не всегда так, и акцентировать внимание на «главной роли» Департамента в вопросах формирования внешнеполитического курса было бы ошибочным. История существования Государственного департамента знает немало примеров, когда весь Государственный департамент и его глава были отодвинуты на второй план очередным избранным президентом, превратив, таким образом, Департамент в пассивного наблюдателя внешней политики США. Сегодня же главная ответственность Государственного департамента США и его сотрудников заключается в борьбе с терроризмом, защите интересов США за рубежом и реализации внешнеполитических инициатив для построения, по мнению американских чиновников, более свободного, процветающего и безопасного мира.

## REFERENCES

1. A History of the United States Department of State 1789-1996 (n. d.). Retrieved from https://archive.is/20120805161554/www.state.gov/www/about_state/history/dephis.html#selection-79.0-89.10
2. A New Framework for Foreign Affairs (n. d.). Retrieved from https://history.state.gov/departmenthistory/short-history/framework [in English].
3. Falcoff, M. (Ed.). (2001). *The Cuban Revolution and the United States: A History in Documents, 1958–1960.* Washington D.C.: US Cuba Press. [in English].
4. Glad, B., & Smith, J. (1996). *The Role of the Historical Advisory Committee, 1990-94, in the Declassification of US Foreign Policy Documents and Related Issues*. PS: Political Science and Politics, 29(2), 185-192. [in English].
5. Grodzinski, M.(2000) *US Government System: An Overview.* USA: International Information Programs Division. US Department of State [in Ukrainian].

6. In the Beginning: The Rogers Act of 1924. (n. d.). Retrieved from http://www.afsa.org/beginning-rogers-act-1924
7. Klynina, T. (2017). *To the question of creation and functioning of the U.S. Department of State.* Ukraine's International Relations: Research and Findings (26). [in Ukrainian].
8. Plischke, E. (1986). *Diplomat in Chief: the President at the Summit.* Praeger Publishers. [in English].
9. Plischke, E. (1999). *US Department of State: A Reference History* (Vol. 93). Greenwood Publishing Group. [in English].
10. The Department of state of the United States. Its history and functions (1893). Retrieved from https://catalog.hathitrust.org/Record/000283934?type%5B%5D=all&lookfor%5B%5D=history%20of%20the%20U.S.%20department%20of%20State&ft. [in English].

***Tatyana Klinina***

***US Department of State as a Foreign Policy Institute: History and Functions***

***Summary***

The article focuses on the question of the creation of the U.S. Department of State and its functions. For over 200 years, the Department of State has conducted American diplomacy through war and peace, amidst the competing currents of isolationism and internationalism that have shaped American foreign policy and its commitment to liberty and democracy. The Department of State was established as the Department of Foreign Affairs by the act of July 27, 1789 and became the first Federal agency to be created under the new Constitution. In September 1789, additional legislation changed the name of the agency to the Department of State and assigned to it a variety of domestic duties. Special attention in the article is paid to the positions of the Secretary of State who is in charge of defining and implementing U.S. foreign policy.

*თეა ქათამაძე*

# *პრინცი ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძე-ზარნეკაუს ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები ქუთაისის ცენტრალურ არქივში*

ქუთაისის ცენტრალურ არქივში თავმოყრილია ქუთაისის გუბერნიაში შემავალი სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი ორგანოების, სახალხო კონტროლის, საგეგმო-საფინანსო, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგამბულობის, მშენებლობის და არქიტექტურის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და აგრეთვე იმდროინდელი ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე მცხოვრებ გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, სწორედ ერთ-ერთ გამოჩენილ და სკანდალებით ცნობილ აგრაფინა ჯაფარიძისა და პრინც ოლდენბურგის ოჯახზე და ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობენ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები.

სწორედ ერთმა ძალიან საინტერესო განცხადებამ, რომელიც დაცულია ქუთაისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების სამაზრო აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილების 1921-1929 წლების საარქივო მასალებში, გამიჩინა საურვილი შეძლებისდაგვარად მომეძიებინა ჩვენს არქივში დაცული დოკუმენტი, რომლებიც შეეხება კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენურგის და მისი მეუღლის გრაფინია აგრაფინა კონსტანტინეს ასული ზარნეკაუს ცხოვრებას და მათ ქონებრივ მდგომარეობას. განცხადებაში პრინც ოლდენბურგის ქვრივი აგრაფინა ზარნეკაუ 1925 წლის დეკემბრის თვეში მიმართავს ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას, ვკითხულობთ:


ქუთაისის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას.-

ყოფილი პრინც-ოლდენბურგის ქვრივ-აგრაფინა კონსტანტინეს ასულ ზარნეკაუს

განცხადება

[illegible]

მთხოვნელი:

დეკემბრის " " დღე 1925წ.

ქ. ქუთაისში.-

ნუთუ შესაძლებელია, გრაფინია უკიდურეს ნივთიერ მდგომარეობაში ყოფილიყო, გრაფინია, რომლის ტკივილიანი და სევდიანი სიყვარულის ისტორია დოკუმენტებმა და მოგონებებმა შემოგვინახა...როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

აგრაფინა ჯაფარიძე დაიბადა 1855 წელს, სოფელ ონჭევში, თავად კონსტანტინე და მელანია ჯაფარიძეების ოჯახში. 5 წლის შემდეგ კონსტანტინე გარდაიცვალა და მელანია საცხოვრებლად ქუთაისში გადმოვიდა თავისი ორი ქალიშვილით, სადაც ის გიორგი იოსელიანზე გათხოვდა. აგრაფინა 21 წლის იყო, როდესაც დაქვრივებულ თავად ტარიელ დადიანზე გაათხოვეს, აგარაფინას ბედი რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, როცა ქუთაისში ყუბანის კაზაკ ცხენოსანთა პოლკი დაბანაკდა ფლიგელადიუტანტ პრინც კონსტანტინე ოლდენბურგის მეთაურობით, რომელიც ადრე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე გახლდათ და მოგვიანებით გენერლის წოდებაც მიიღო.

ხოფერთა პოლკის ყუბანის კაზაკთა მებრძოლთა ისტორიიდან ვკიითხულობთ: 1878 წლის ბოლოს ხოფერთა პირველი პოლკისათვის დაარსდა მუდმივი შტაბი ქუთაისში. 1879 წლის დასაწყისში მათი განლაგება იყო შემდეგნაირი, 1,3, და 4 ასეული იკავებდნენ კორდონს შავიზღვისპირა ზოლს სოხუმიდან რედუტკალემდე, 2 ასეული პატარა ჯგუფებად იყო დაბანაკებული ქუთაისის გუბერნიაში, 5 და 6 ასეული ბინადრობდნენ თბილისის გუბერნიაში. პირველი ასეული მოიხსნა სოხუმის კორდონიდან და 1880 წელს დაბანაკდნენ ქუთაისში, აქედან 1881 წლის აგვისტოში ისევ შავი ზღვის სანაპიროსკენ გადაინაცვლეს რედუტკალედან ნიკოლაევსკამდე. იმავე წელსვე პოლკი დაბრუნდა ქუთაისში (история хоперскаго казачьяго полка 1696-1896гг. потто 1900г).

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ ქალაქ ქუთაისის ქალაქის მმართველობის 1881 წლის დოკუმენტში, კერძოდ "ქალაქის შემოსავლები ხოფერთა პოლკის მსახურთა ბინის გადასახადის დაფარვის შესახებ", რეგისტრირებულია უცოლო პოლკის მეთაური მისი უდიდებულესობა ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგი (ქცსა, ფონდი N108, საქმ. 409, ფურც.17-20).



Холостымъ.
Командиру полка Его Высочеству Флигель-Адъютанту Полковнику Константину Петровичу Ольденбургскому съ 1-го февраля
42 50.

აქვე 1882 წლის თებერვლის თვის მასალებში პრინცი ოლდენბურგი უკვე დაოჯახებულია, (ამ ფაქტის ანალიზს ქვემოთ განვიხილავთ), ასეთივე ინფორმაციაა 1883-1884 წლების მასალებში და მას ქალაქის გამგეობა უხდის საცხოვრებელი ბინის გადასახადს (ქცსა, ფონდი 108, საქმ. 498, ფურც. 1).



Списокъ
Штабъ и Оберъ офицерамъ [illegible] Ея Императорского Высочества Великой Княгини Анастасии Михайловны полка на получение квартирныхъ денегъ изъ городскихъ суммъ гор. Кутаиса за Февраль месяцъ 1883 года

| Чины и Фамилии | Р. | К. | [illegible] |
| --- | --- | --- | --- |
| Семейнымъ: | | | |
| Его Высочеству Командиру полка Флигель-Адъютанту Полковнику Принцу Константину Петровичу Ольденбургскому | 12 | 50 | |

ამავე ფონდის მასალებში 1886 წლის საარქივო საქმეში კერძოდ, თბილისის და ინგლისის ქუჩების სარემონტო სამუშაოების შესახებ ჩანს, რომ პრინცი ოლდენბურგი უკვე ფლობს მამულს ინგლისის ქუჩაზე და ქუჩის სარემონტო სამუშაოებისათვის იხდის 150 მანეთსა და 56 კაპიკს, ამ თანხის აკრება გრძელდება ყოველწლიურად 1891 წლის ჩათვლით (ქცსა, ფონდი 108, საქმ. 613, ფურც. 34, 31).



Его Высочество Константинъ Петровичъ Принцъ Ольденбургский . . . . . . 150 56

ქუთაისიის ქალაქის მმართველობის 1888 წლის მასალებით დასტურდება, რომ პრინცი ოლდენბურგის მფლობელობაში ქ. ქუთაისში უკვე ორი ქვის სახლია.


163. Две кам. дома Его Выс. Принц... ...и ... П. П. Ольденбург

ახალგაზრდა პრინცს უამრავი თაყვანისმცემელი ყავდა ქუთაისში, მაგრამ მისი ყურადღება 1882 წლის მაისში ქუთაისში ცნობილი მხატვრის მიხაი ზიჩის ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების გამოფენაზე ნესტან-დარეჯნის როლის შემსრულებელმა ულამაზესმა აგრაფინა ჯაფარიძემ მიიპყრო. კნიაჟნები მზად იყვნენ ერთ კოვზ წყალში ჩაეხრჩოთ აგრაფინა (პურადაშვილების მოგონებები, გვ.88).

ელგ. თავბერიძის წიგნში ”სანიტარული დღე“ (ქუთ. 2005, გვ 292-298) ვკითხულობთ ”წარმოდგენის დამთავრების შემდეგ პრინცი მიეჭრა აგრაფინას და ცოლობა სთხოვა, აბეზარი თაყვანისმცემლის თავიდან ჩამოსაშორებლად აგრაფინამ მას უთხრა , რომ იგი გათხოვილი იყო და თავად ტარიელ დადიანის მეუღლე გახლდათ და შვილიც ყავდა მასთან, მიუხედავად იმისა, რომ უარი მიიღო შეთავაზებულ სიყვარულის სანაცვლოდ პრინცმა ვერ მოისვენა , გრძნობები ვერ დაიოკა და ფრიად უცნაური გამოსავალი მოძებნა-თავად ტარიელ დადიანს კაციც მიუგზავნა მოსალაპარაკებლად, ცოლს გაეყარე, რათა მასთან დაქორწინება შევძლოო. გადარეულა დადიანი, ვინაა ეს შერეკილი ცოლის ხელს რომ მთხოვსო. ჭორების თანახმად პრინცს მოუხერხებია მანდილოსნისთვის თავის შეყვარება და დადიანის დაყოლიება და საყვარელი გამოუსყიდია. დადიოდა ხმა ქუთაისსა და მთელ საქართველოში ”აგრაფინა კისკისაო დადიანმა პრინცს მისცაო”. არსებობს სხვა ვერსიაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ აგრაფინა ჯაფარიძის მეუღლე იყო ცნობილი გვარის წარმომადგენელი თავადი ტარიელ დადიანი, ის იყო ცნობილი მოთამაშე, ერთხელაც ის ერთ სათამაშო მაგიდასთან აღმოჩნდა პრინც ოლდენბურგთან ერთად, როდესაც დადიანის წაგებული თანხა ძალიან დიდი გახდა მან ვერ მოითმინა და დაიყვირა ”მთელი თბილისი რომ გავყიდო მაინც ვერ გადავიხდი ვალსო”, მაგრამ პრინც უთქვამს, თბილისი არა, შენი ცოლი მომყიდეო... დადიანიც დათანხმებულა... საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და დაინიშნა ქორწინების დღე, ეს

ქორწინება იყო მორგანული, ე.ი. არათანასწორი, ამიტომ მამამ თავის მომავალ შვილებს ჩამოართვა უფლება გამხდარიყვნენ ოლდენბურგები, მის შთამომავლებს საბოლოოდ გადაეკეტათ გზა ჰერცოგის ტახტისაკენ. ისინი გახდნენ ზარნეკაუს გვარის მატარებლები (გ. ჯაფარიძე, 2011:45).

ქუთაისში ცოლ-ქმარი 14 წელი ცხოვრობდა. ოლდენბურგის მიერ 1885 წელს პოლკოვნიკ პრინცის ქვრივისაგან ევგენია ივანეს ასული იურჩენკოსაგან ინგლისის ქუჩაზე შეძენილი იქნა სახლი, ამ მამულში ოლდენბურგმა პრინცის ქვრივს მისცა 30 ათასი მანეთი და იკისრა ბანკის ვალის (18 ათასი) დაფარვა (მ.კეზევაძე "ქვაში ჩაკირული ისტორია" 2004 წ), ყიდვიდან სულ მალე მან სახლს ორსართულიანი ქვის ფლიგელი მიაშენა (აქვეა პრინცის ხელმოწერაც) (ქცსა, ფონდი 108, საქმ. 561, ფურც.112-113).


104.

112

Въ Кутаисскую Городскую Управу

Принца Константина Петровича Ольденбургскаго.

Прошенiе

Представляя при семъ въ двухъ экземплярахъ проэктъ на пристройку къ существующему дому двухъ-этажнаго флигеля и крытаго подъѣзда, покорнѣйше прошу Управу по утвержденiи выдать мнѣ копiю.—

ქალაქის მმართველობის წევრის გაბაევის 1885 წლის 27 ივნისის პასუხით, უფლება მიეცა პრინც სახლზე ორსართულიანი ფლიგელის მიშენების.

ქუთაისის მიხეილის სახელობის თავადაზნაურთა ბანკის 1877 წლის მასალებში რეგისტრირებულია გიორგი ზურაბის ძე იოსელიანის (აგრაფინას მამინაცვალი) სახლის დათვალიერების და შეფასების აქტი, შეფასების შედეგად აღმოჩნა, რომ სახლი მდებარეობს თბილისის ქუჩის წინ, სახლი ორსართულიანია, სახლის მეორე სართული მუდმივად ნაქირავები აქვს პოლკოვნიკს ნ. პრინცს (ქცსა,ფონდი 22, საქმ. 293, ფურც.3) ამავე ფონდის 1897 წლის მასალებში ასევე რეგისტრირებულია კირილე გიორგის ძე იოსელიანი( აგრაფინას ნახევარძმა) მცხოვრები ქალაქ ქუთაისში თბილისის ქუჩაზე. (ქცსა, ფონდი 22, საქმ. 3843, ფურც. 3). აქვე 1910 წლის დოკუმენტში დევს ქუთაისის ნოტარიუსის მიერ 1893 წელს შედგენილი გაყოფის აქტი, სადაც რეგისტრირებულნი არიან ალექსანდრე, კირილე და კონსტანტინე გიორგის ძე იოსელიანები და მათი დედა მელანია ალექსის ასული იოსელიანი დაბ. ჯაფარიძე, (მელანია აგრაფინა ჯაფარიძის დედაა) როგორც მათზე მზრუნველი, ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ მელანია ჯაფარიძე ცხოვრობს თბილისის ქუჩაზე და ფლობს ორსართულიან სახლს 11 ოთახით და სხვადასხვა ნაგებობებით, მის მფლობელობაშია აგრეთვე ცარიელი მიწის ნაკვეთი მდებარე თბილისის ქუჩაზე. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ იოსელიანების დახმარებით შეიძინა პრინცმა ოლდენბურგმა მამული თბილისის ქუჩაზე? (ქცსა, ფონდი 22, საქმ. 6509 )ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსაკვლევია).

ქუთაისის ნოტარიუსის 1887 წლის 11 მარტის სანოტარო აქტით დასტურდება, რომ ყარამან ბესარიონის ძე დათეშიძემ მიყიდა პრინც ოლდენბურგს გარდაცვლილი მამისაგან ბესარიონ თამაზის ძე დათეშიძისაგან მემკვიდრეობით მიღებული მამული (საეზოვე ადგილი) მდებარე ქ. ქუთაისში, ინგლისის ქუჩაზე, ერთსართულიანი ქვის სახლი, სარდაფით და სამზარეულოთი, საზღვრებში: ალმ.პრინცი ოლდენბურგის მამული, დას. ლევან გეგელაშვილის მამული, ჩრდ. ნესტორ დიასამიძის მამული და სამხ. ინგლისის ქუჩა, ეს ნაკვეთი ბესარიონ დათეშიძეს შეძენილი ქონდა იაკობ ნიკოლაძისაგან (ქცსა, ფონდი 40, საქმ. 339, ფურც. 86-89). ქუთაისის მიხაილოვის სახელობის თავადაზნაურთა სამიწადმოქმედო ბანკის 1887 წლის დოკუმენტის მიხედვით "ქ.ქუთაისში, ინგლისის ქუჩაზე მდებარე სახლის შეფასების

შესახებ " პრინცი ოლდენბურგის კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეადგენს 1728 კვ.საჟენს, ხოლო მიწისმზომელი ჩიმაკაძის ცნობით – 1747,8 კვადრატულ საჟენს, მასზედ აგებული შემდეგი ნაგებობებით:

„ღრმად დამწუხრებული შვილები: საშა, ნიკოლოზ, თინა და პეტრე; დები: ეკატერინე ნაკაშიძისა შვილებით, ნინო ჯაყელისა ქმარშვილით, კესარია ტატიშვილისა შვილებით, ძმა კირილე იოსელიანი ცოლშვილით და მისი მომვლელი ქალები ემმა და ანა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს

აგრაფინა ზარნეკაუს

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (აკაკი წერეთლის ქ. №92), ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, დღის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე".

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების 1923-1928 წლების დოკუმენტით ძმები დათეშიძეე-ბის მამულის ჩამორთმევის შესახებ ვკითხულობთ:"დათეშიძეების სახლი მდებარე ა. წერეთლის ქუჩაზე შედგება 10 ოთახისაგან და უკავია შემდეგ პირებს. 1) სამთო-ქიმიის კომბინატი, წისქვილის კანტორას -2 ოთახი, 2) შეგელიძე ინჟინერს-2 ოთახი,3)ჭარხალაშ-ვილის ქალს-1 ოთახი, 4) ძნელაძე ელისაბედი-2 ოთახი, 5) რევიშვი-ლი და ჯავახაძე-1 ოთახი, 6) ნაკაშიძის ქვრივს და გრაფინიას მომ-ვლელ ქალს -2 ოთახი. დოკუმენტი თარიღდება 1927 წლით (ქცსა, ფონდი 38, საქმ.45, ფურც. 40)

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის (ადრე ოლგას სახელობის) მზრუნ-ველთა 1887-1888 წლების სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ გრაფინია ა. კ. ზარნეკაუ ამ სამზრუნველოს საპატიო წევრია, რომ-ლის სახელსაც უკავშირდება ამ გიმნაზიაში არსებული პრობლემე-ბის მოგვარება,აქედან შეგვიძლია დავასკვნათ გრაფინია და კონ-სტანტინე ოლდენბურგი უამრავ კეთილ საქმეს აკეთებდნენ საქარ-თველოს სასიკეთოთ.


100

Протоколъ засѣданія Попечительнаго Совѣта Кутаисской Ольгинской женской гимназіи 27 Февраля 1888 года

Присутствовали: Почетная Попечительница Графиня А. К. Зарнекау, Княгиня В. С. Накашидзе, Исправляющая должность Начальницы Гимназіи Е. Е. Петропавлова, Председатель Педагогическаго Совѣта А. С. Мамонтовъ, П. К. Крузенштернъ, К. Г. Залѣскій. Председательствовалъ въ означенномъ засѣданіи А. С. Мамонтовъ

ეს იმ გრაფინიას ცხოვრების ამსახველი დოკუმენტებია, რო-მელსაც არაერთი სასახლე აუგო მეუღლემ სიყვარულის ნიშნად, რომელმაც ცხოვრებისგან უამრავი სიხარული, ბედნიერება და ასევე ტკივილიც იგემა,ის ხომ როგორც ავღნიშნეთ დიდი ქველ-მოქმედი იყო (ბევრ ახალგაზრდას დაეხმარა , ესწავლა საქართვე-ლოს საზღვრებს გარეთ, იყო ასევე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებ-

ლის სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე(ქცსა, ფონდი 15, საქმ.32, ფურც.100) რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებში ისე გაუჭირდა,ისე დაკნინებულია, რომ ეშინია სიცივით არ დაიხოცოს თავად და მისი 5 სულიანი ოჯახი...

საარქივო დოკუმენტები უამრავ საინტერესო მასალას მოიცავს, შეუძლებელია ამომწურავად ისაუბრო დოკუმენტებზე დაყრდნობით, რადგანაც შესაძლებელია არცთუ ისე საინტერესო სათაურის მქონე დოკუმენტში ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია აღმოჩნდეს, ამიტომ ყველა მკვლევარის ვალია იხელმძღვანელოს ერის დოკუმენტური მეხსიერებით და არ გამოიჩინონ უკიდეგანო ფანტაზია ამათუიმ პირის განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა)

1. ფონდი 15, საქმ.32,ფურც. 100.
2. ფონდი 38, საქმ.45, ფურც.40.
3. ფონდი 305,საქმ. 108,ფურც.118; საქმ. 32, ფურც. 206; საქმ. 109, ფურც. 29, 30, 31; საქ.4, ფურც. 99; საქმ. 11.
4. ფონდი 35, საქმ. 28, ფურც. 74.
5. ფონდი 14, საქმ. 443, ფურც. 8.
6. ფონდი 1, საქმ. 6950, ფურც. 208-228.
7. ფონდი186, საქმ. 28 ფურც. 60-62; საქმ. 27
8. ფონდი 18,საქმ.1445, ფურც.1-4
9. ფონდი 108, საქმ. 2424, ფურც. 1.
10. ფონდი 40, საქმ. 402, ფურც. 60-63; საქ. 339, ფურც. 86-89.
11. ფონდი 22, საქმ. 1576; საქმ. 3843, ფურც 3; საქმ.6509; საქმ. 293, ფურც. 3; საქმ. 4710; საქმ. 48; საქმ. 77.
12. ფონდი 108,საქმ. 561,ფურც. 112-113; საქმ. 613, ფურც. 34, 31; საქმ. 409, ფურც.17-20; საქმ. 498, ფურც 1
13. მ.კეზევაძე, ქვაში ჩაკირული ისტორია, 2004
14. ჯაფარიძე "აგრაფინა კისკისაო, ჩვენი მწერლობა, 2011, N 20
15. ელგ. თავბერიძე "სანიტარული დღე", ქუთაისი, 2005
16. პურადაშვილების მოგონებები, გვ.88.
17. Потто, история хоперскаго казачьяго полка 1696-1896гг. 1900.

*ნინო ჯაველიძე*
*მერაბ მეგრელიშვილი*

## *ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში (XIXდასასრული-XX დასაწყისი)*
## *(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით)*

აჭარა-გურიის მთები, როგორც დიდი ივანე ამბობდა, გარემოზღუდვულ რეგიონს იცავდა გარეშე მტრებისგან. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ, არაერთხელ ყოფილა რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაპყრობა და ჩამოშორება უცდიათ, მაგრამ გაერთიანებული აჭარა-გურიის რეგიონი ერთიანი ძალით მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. სამწუხაროდ, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვრებს მოსული მტერი აწესებდა.

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1858 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნატორის მიერ საქართველოს საზღვრებსა და მიწებთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი, სადაც საუბარია რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის თაობაზე და ქობულეთის რეგიონის სოფლების: ჩეხედანას, ნაცხავატევის და ქაქუთის მდებარეობის შესახებ. არსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ნაცხავატევი არასოდეს არ ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ და გურია-აჭარის საზღვრებში იყო მოქცეული. ჩეხედანა ქრისტიანული სოფელი იყო, ხოლო ნაცხავატევი კი მუსულმანური რელიგიის აღმსარებელი.

აჭარა-გურიაში შემოსული დამპყრობელი, როგორც თურქეთი ისე რუსეთი ცდილობდა თავისი სურვილის და შეხედულების მიხედვით მოეწყო ცხოვრება. 1878 წლის შემოერთებამდე ბათუმში მოქმედებდა მიწათსაკუთრების თურქული კანონი (მიწის კოდექსი „დუსტურ") რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა რელიგიის მსახურთ. 1878 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების შემდეგ, რუსეთი მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით კანონის მიღებით ცდილობს ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გავლენის  დასუსტებას. რუსეთის ხელისუფლება ძალით ართმევდა საკუთარ მიწებს ადგილობრივ მოსახლეობას და იძულებულს ხდიდა მუჰაჯირად წასულიყო თურქეთში. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, გენერალ-მაიორ ნ. ო. ერისთავისადმი ბათუმის ქალაქის მმართველის მიმართვა, რომელშიც საუბარია 1880

წლის დასაწყისში ბათუმიდან წასულ მუჰაჯირებზე, რომელთაც ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე წაართვეს მიწაზე საკუთრების უფლება.

1878 გაზაფხულზე ბათუმში, ართვინში და სხვა რეგიონებში შეიქმნა შეიარაღებული სამხედრო ორგანიზაცია „შურისმგებელი", რომლის ამოცანა იყო ბრძოლა რუს დამპყრობთა წინააღმდეგ. გარკვეული დროის შემდეგ რუსეთმა გაანადგურა ეს ორგანიზაცია (ასსცსა ფონდი-432, ანაწ. 1 ს. 399, ფ. 9).

ერთი სვე-ბედის ქვეშ იმყოფებოდა როგორც აჭარის, ისე გურიის მოსახლეობა. ახლახან გამოიცა ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის პროფესორ შალვა რადიანის ავტობიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი დაპყრობის შედეგად განცდილი ცხოვრების მძიმე წლები და ის დიდი თანადგომა, რამაც გადაარჩინა ერთ ბედს ქვეშ მყოფი ეს ორი კუთხე. შალვა რადიანი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „გარდასულ დროთა მატიანე" იხსენებს: „1906 წლის იანვარში გურიას „ესტუმრა'' პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შევიდა ოზურგეთში, გადაწვა და გაძარცვა ის. შეშინებული ხალხი გარბოდა ქვეყნიდან, ჩემი მშობლებიც გაქცეულან სოფელ აჭში ქართველ მაჰმადიანებთან. გზაზედ, როდესაც გადადიოდნენ მდინარეზე, მამაჩემი, რომელსაც ატატებული მივყავდი, შემთხვევით წაქცეულა და მეც ხელიდან გავვარდნილვარ, მაგრამ მაინც გადამარჩინეს. აჭში რამდენიმე კვირის ყოფნის შემდეგ, ჩემი მშობლები დაბრუნებულან ოზურგეთში, იქ მათ აღარაფერი დახვედრიათ, ყველაფერი ცეცხლს შთაენთქა. ისე ხელმეორედ დაიწყეს მათ ოჯახის მოწყობა. ოჯახი ჩვენი კი მრავალრიცხოვანი იყო. 1906 წლის შემდეგ, როგორც აჭარამ, ისე გურიამ არაერთგზის განიცადა მტრისგან დარბევა. შალვა რადიანი იგონებს, რომ 1918 წელს, ბათუმის აღების შემდეგ, ოზურგეთში შემოიჭრნენ თათრები. ამ ხანებში ქალაქში სრული უდარდელობა სუფევდა, არავინ ფიქრობდა, რომ მოახლოვებულ მტერს შეეძლო თავდასხმა ქალაქზე, საღამო ხანი იქნებოდა, როდესაც გავრცელდა ხმა „თათრები მოდიანო". ხალხი პანიკამ მოიცვა. იმ დროინდელი სამხედრო და სამოქალაქო მესვეურები ყველაზე ადრე გაიქცნენ ქალაქიდან. მათ ვერც კი მოახერხეს სუსტი მტრის წინააღმდეგ დაერაზმათ ხალხი. ქალაქში დაიწყო ძარცვა-გლეჯა. ხალხი გარბოდა უმთავრესად ნაგომარის მიმართულებით. პირდაპირ შემზარავ სურათს წარმოადგენდა შეშინებული, არეულ-დარეული ხალხის გაქცევა, თან მიჰქონდათ რისი წაღებაც სახელდახელოდ შეძლეს. თანდათან ძლიერდებოდა სროლის ხმაც. თათრები უახლოვდებოდნენ ოზურგეთს. 1918 წლის 7 აპრილს ანასეულ-ექადიის მხრიდან შემოვიდნენ ისინი ქალაქში. შიმშილმა მოიცვა ყველაფერი. მახსოვს ხალხს გამოსაკვებად მაშინდელნი მესვე-

ურნი ურიგებდნენ რაღაცნაირ ნამცხვრებს, რომელთა კბილებით დაღრნა არ შეიძლებოდა, ისე მაგარი იყო და თანაც სავსე მატლებით. დამშეული ხალხი სოფელ-სოფელ დადიოდა გამოსაკვების საშოვნელად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო (რადიანი შ., 2015:5).

„საქართველო, როგორც იმპერიის განაპირა კოლონიური მხარე ბუნებრივია განიცდიდა ყველა იმ შინაგანი პროცესის ზეგავლენას, რაც XX საუკუნის პირველი ოცწლედის რუსეთის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ახასიათებდა. (საქართველოს იტორიის ნარკვევები, 1973). ჯერ კიდევ „1840 წელს რუსების მიერ ამიერკავკასიაში გატარდა ადმინიტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული, წმინდა რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი ელემენტების მთლიანად ჩამოცილება" „რუსეთის განაპირა კოლონიურ რაიონებში, სადაც ცარიზმი სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ახორციელებდა, გაცილებით უფრო მძიმე და მტკივნეული იყო შეურიგებელი წინააღმდეგობა და მისი შედეგები" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973).

1910 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მეფისნაცვალი კავკასიაში თავის საიდუმლო წერილში იუწყებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო გამოთქვამდა სურვილს, რომ სამხედრო ვალდებულება გავრცელებულიყო იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოსახლეობაზე. თუმცა რუსეთის სამხედრო მინისტრი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ინოროდცებისგან (უცხო ტომები, ასე მოიხსენიებდნენ ქართველებს) შექმნილიყო რეგულარული სამხედრო შენაერთი, რადგან თვით ინოროდცები გამოთქვამდენენ ზიზღს სამხედრო ჯარში სამსახურზე, ასევე წინადადებას იძლეოდა თავი შეეკავათ ისეთი გადაწყვეტილებისგან, რაც აღშფოთებას გამოიწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში. სამხედრო მინისტრს უფრო მეტად აინტერესებდა რუსული კოლონიზაციის საქმე. აღნიშნული საქმის გამოკვლევის და დადგენის მიზნით, სამხედრო მინისტრს შედგენილი ჰქონდა მკითხვარი, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა: არმიის რომელ ნაწილებში (ქვეითი, ცხენოსანი, კაზაკების ასეული და ა.შ) შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, როგორი იყო ინოროდცების განწყობა, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათი მხრიდან აღშფოთებას და წინააღმდეგობას, იყვნენ თუ არა ინოროდცები საიმედო და ერთგული ჯარისკაცები, 100 მამაკაცისგან რამდენი პროცენტი გაეწვიათ ჯარში, განსაკუთრებით რომელი კუთხის მცხოვრებნი იყვნენ უფრო საიმედონი, იყვნენ თუ არა ინოროდცები ფიზიკურად სრულყოფილნი, ჰიგიენური წესების დამცველნი, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათ მასიურ ემიგრაციას რუსეთის საზღვრებს მიღმა და ეს უკანასკნელი სავალალო შედეგს მოუტანდა იმპერიას.

საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამკვიდრებას კავკასიის ქრისტიანებს შორის ასწლეული დასჭირდა. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხს თანდათანობით წყვეტდა, კერძოდ კავკასიის ქრისტიანთა საუკეთესო გვარის წარმომადგენლები საკუთარი სურვილით მსახურობდნენ რუსეთის არმიაში ოფიცრებად, თავადაზნაურთა შვილები თითქმის იძულებით აღიზრდებოდნენ რუსულ კადეტურ კორპუსებში, სამხედრო გიმნაზიებში. თავადაზნაურთა ქალიშვილები კარგ პირობებში სწავლობდნენ კეთილშობილთა ინსტიტუტებსა და ქალთა გიმნაზიებში. ყაზანელი და ასტრახანელი თათრები დღემდე ინარჩუნებენ სიმპატიებს თურქების მიმართ. წლების განმავლობაში ბრიტანეთის დაქვემდებარებაში მყოფი ინდოეთის ადგილობრივი არმია რელიგიური ნიშნით იყო დაყოფილი, ერთმანეთისადმი მტრულად იყო განწყობილი და ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი ასიმილაცია ბრიტანეთის ნაციონალურ არმიაში.

რუსები დიდათ უფრთხილდებოდნენ იმპერიის საზღვრების თავდაცვის საქმეს და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას უნდობლობას უცხადებდნენ. მათ აუცილებლად მიაჩნდათ „ინოროდცების" სამხედრო სამსახურში გაგზავნა პირველ წელს ამიერკავკასიასა და ჩრთილოეთ კავკასიაში, შემდეგ ყირიმში და ბოლოს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ყაზანი და იმპერიის შიდა გუბერნიები.

რუსეთის ხელისუფლება არ ინდობდა არავის, ვინც ეწინააღმდეგებოდა მათ მიზნებსა და ინტერესებს. 1904 წლის 6 მარტის, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ ხულოს ეკლესიის მღვდელი ანტონ ფირცხალავა ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისკენ. რუსებმა ანტონ ფირცხალავა ხულოდან გაიწვიეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1904 წლის 22 მაისის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის მცხოვრები გიორგი სალუქვაძე სოფელ ღორჯომის მოსახლეობას მოუწოდებდა გადასახადებზე უარის თქმისკენ და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით გურულებთან გაერთიანებისკენ. გიორგი სალუქვაძეზე დაწესდა მეთვალყურეობა და გაიცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. ამ პერიოდში აჭარაში ხმა გავრცელდა, რომ ბათუმის და ოზურგეთის მოსახლეობამ თურქეთის სულთანს გაუგზავნეს მიმართვა, სადაც თანადგომას უცხადებდნენ რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში.

1904 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლითაც საეკლესიო საკუთრება მთლიანად გადაეცა სახელმწიფოს და ამ გადაწყვეტილების სამართლიანობას იგი ხსნიდა შემდეგი მიზეზით: „ всем хорошо известно, что никто, никогда, ничего не терял, когда здавал свои збережения на хранения в казенных учреждениях, казна

будеть только управлять, всеми церковными имуществами, но все доходы с этих имуществ будут идти в пользу церквей. в Российском государстве, где существуют и католики, и протестанты, и магометани, ни католическое, ни протестантское, ни магометанское духовенство не управляет имуществом своих храмов, без правительствого надзора (ასსცსა, ფონდი ი-1, ს. ანაწ. 1, ფ. 65).

რუსეთის ხელისუფლების ამ უკანონო გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის გუბერნიაში მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები, მაგრამ ღია დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, რუსეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, რომ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ არმია, ასევე გავრცელდა განცხადება, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა მართლმადიდებლობის წესებზე მოქცევას.

რუსეთის სახელმწიფოსთვის საშიშ პირებს ასახლებდნენ რუსეთის გუბერნიაში. 1907 წელს, კავკასიიდან ციმბირში გენერალ ასლან-ბეგ აბაშიძესთან ერთად გასახლებული იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში, ოთო ჯინჭარაძის სახლში მცხოვრები ალფეს მიქელაიშვილი. იგი იყო სოციალ-დემოკრატი, მისმა ორმა შვილმა უარი თქვა რუსეთის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურზე. ასლან-ბეგ აბაშიძე და ალფეს მიქელაიშვილი მოსახლეობაში აწარმოებდნენ პროპაგანდას გერმანიის იმპერიის ლიბერალური წყობის შესახებ და აიარაღებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ თურქეთის არმიისთვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. ამ მიზნით მათ მიერ გურიის სოფლებში დაგზავნილი იქნა პროკლამაციები. მათი თანამებრძოლი იყო ოზურგეთის სოფელ დვაბზუს მცხოვრები ვიქტორ ღლონტი. იბრაიმ ბეგ სანჯაყ ბეგზადე აბაშიძის ქვრივი სალიე ხანუმი რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნავდა, რომ მისი შვილი ასლან ბეგ სანჯაყ ბეგ ზადე აბაშიძე გასამართლებულია პოლიტიკურ საქმეზე ციმბირში გასახლებით, ხოლო მეორე შვილი მემედ ბეგი პოლიციის აგენტებისგან შესაძლო ძალადობის აცილების მიზნით გაქცეულია ქვეყნიდან. 1908 წლის 28 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის მიმართვაში აღნიშნავდა, რომ ბათუმის ციხის პატიმარი ალფეს მაქსიმესძე მიქელაიშვილი ავადაა და მოითხოვდა ექიმის დახმარებას. ალფეს მიქელაიშვილს მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა. მას საკმაო უძრავი ქონება გააჩნდა ბათუმის ოლქში და ოზურგეთის მაზრაში, ასევე ფლობდა ბრინჯაოს საბადოებს მურღულის ხეობაში (ასსცსა,ფონდი ი-1, ანაწ.1, საქმე 303, ფურც. 39).

1904 წლის 29 ნოემბერს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ბათუმის პოლიცმეისტერ კა-

პიტან ჩიქოვანის და მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტ, მდივნის მიერ ბათუმში ჩახშობილი იქნა ოზურგეთიდან ჩამოსულ სამხედრო-ში ახალგაწვეულთა მიერ მოწყობილი ანტისახელმწიფოებრივი ამბოხება. იყო იმის შიშიც, რომ ბათუმის ქარხნის მუშები მხარს დაუჭერდნენ ამბოხებულებს.

ოზურგეთის მაზრის უფროსი ბათუმის პოლიცმეისტერს აცნობებდა, რომ ბათუმში, კერძოდ კახაბერში მცხოვრები ალფეს მიქელაიშვილი, ჭოროხის სანაპიროსთან არსებულ ტყეში ინახავდა საბეჭდ დაზგას და ხალხში ავრცელებდა ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებს. 1904 წლის 21 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ბათუმში მცხოვრებნი: ალფეს მიქელაიშვილი, კარლო ჩხეიძე, იულონ შარაშენიძე და ექიმი ვოლსკი ანტირუსულ მოძრაობაში ღებულობდნენ მონაწილეობას. აღნიშნული პირები გაერთიანებული იყვნენ ბათუმში მოქმედ საიდუმლო კომიტეტში, რომელიც აწარმოებდა შეიარაღებულ გამოსვლებს. რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებულ საშიშ პიროვნებად გამოაცხადეს ბათუმში, სასტუმრო „ფრანცია“-ში მცხოვრები იულონ შარაშენიძე და დვაბზუელი ვიქტორ ღლონტი. 1904 წლის 4 თებერვალს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ითხოვდა მათ გასახლებას რუსეთის გუბერნიაში. 1906 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ლეონტიევი თავის საიდუმლო მოხსენებაში ბრალს სდებდა ე.წ სამეგრელო გურიის ჯგუფს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

რუსეთის ხელისუფლება აგიტაცია-პროპაგანდის გზით დაპყრობილ ხალხებში აღვივებდა რუსეთისადმი სიყვარულს. 1912 წლის 17 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნეს რომანოვების 300 წლიანი ბატონობის ხანა. ბათუმში, აზიზიეს მოედანზე სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოეწყო საერთო სახალხო წირვა-ლოცვა. სობორის მოედანს რომანოვების სახელი უწოდეს. ბათუმის ქალთა გიმნაზიას მიენიჭა რომანოვების სახელი. ბათუმის სკოლებში დაარიგეს რომანოვების მეფობის ისტორიის ამსახველი ბროშურები.

გურიისა და აჭარის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ამ პერიოდში ზემო აჭარაში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო. ხულოს, სხალთის ეკლესიის მღვდელი ლუკა ხუნდაძე ოზურგეთიდან ჩამოსულ პირებთან ერთად აწარმოებდა ანტირუსულ პროპაგანდას. 1908 წლის 18 ივნისს ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოკრუგის გენერალ გუბერ-

ნატორი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდა, რომ მღვდელი ლუკა ხუნდაძე მუსლიმ მოსახლეობაში ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას, აჭარლებს მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისკენ. 1909 წლის 29 მაისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი რომანოვსკი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოს ლეონიდეს სთხოვს სოფელ აჭყვის ეკლესიის მღვდელი თევდორე პაპანდოპულო გადაიყვანოს სხვაგან, რადგან იგი რუსეთის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება იყო (ასსცსა ფონდი ი-1, ანაწ. 1, ს. 412 ფ. 1-8).

1908 წლის 20 მაისს, იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს აცნობებდა გურიის შეიარაღებული აჯანყების მონაწილეთა, ბათუმიდან ოდესაში გასასამართლებლად გადაგზავნის შესახებ. გურიის აჯანყებულთა ოდესაში გადაგზავნის უსაფრთხოების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ გამოჰყო შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები „დონეცი", „პრუტი", „კრონშტადი", ადმირალ დიკოვის ხელმძღვანელობით. გურიის 12 მსჯავრდებულთა შორის იყვნენ: ერთი თავადი, ორი სასულიერო წოდების მქონე პირი და დანარჩენი გლეხები. მათ შორის იყვნენ: ბენიამინ ჩხიკვიშვილი (ეს პიროვნება 1905 წელს გურიის სახალხო რესპუბლიკას ედგა სათავეში), ნესტორ ერქომაიშვილი, სიმონ ღლონტი, სერგო სურგულაძე, მოსე ტუღუში, პარმენ თოთიბაძე, ალექსანდე იმედაიშვილი, რაჟდენ ხომერიკი, გიორგი მამულაიშვილი, კირილე ლომაძე (ასსცსა ფონდი ი-1, ანაწ. 1, ს. 347, ფ. 1).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიათა რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები.

რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსისთვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, შენობა-ნაგებობების თუ სხვა საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ აღრიცხვას. შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ სკოლებს.

1894 წლის 9 ნოემბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპარქიებს ავალებდა ღვითისმსახურების დროს დიდი პატივით მოეხსენებიათ მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი და ასევე სამეფო ოჯახის წევრები. ღვთისმსახურება უნდა წარმოებულიყო თავდაპირველად რუსულ, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე.

ყოველი წლის 17 ოქტომბერს ქართულ ეკლესიებს, მისი უდიდე-

ბულესობის, რუსეთის იმპერატორის და სამეფო ოჯახის სადიდებლად უნდა გადაეხადათ პარაკლისი, რათა „კეთილსახიერებითა და მოწყალებითა თვისითა გარდამოიხილოს უფალმა ღმერთმან ჩვენმან უკეთილმსახურესსა რუსეთის იმპერატორისა ჩვენსა ზედა, მეუღლესა მისსა, დედასა მისსა ზედა, მემკვიდრესა მისსა და სრულიად სამეფოსა სახლსა ზედა და უბრძანოს ანგელოზთა თვისთა, რათა დაიცვან ისინი ყოველსა გზასა ზედა და მარადის დაიფარონ, განარიდონ და იხსნან ისინი ყოველთა ჭირთა და ბოროტებისაგან".

რუსეთის სინოდი ავალებდა ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს ლოცვა-დიდებას რუსთა მხედრობისათვის, ხოლო ლოცვის ბოლოს უნდა ეთქვათ მრავალჟამიერი. ქართველი მღვდელმთავრები ლოცვას ამთავრებდნენ სიტყვებით: „ჩვენზედა მფლობელი ხელმწიფე იმპერატორისა, მეუღლისა მისისა, დედისა მისისა, მემკვიდრისა მისისა და სრულიად სამეფო სახლისათვის".

ერთმორწმუნე რუსეთთან სიახლოვეს უარყოფითთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უზრუნველყოფდა ქართული ეკლესიის დაცვას ყოველგვარი სექტანტებისაგან.

1891 წლის 18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა მისიონერთა მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სექტანტებთან ბრძოლის გეგმა. ყრილობამ სექტანტობა აღიარა როგორც ქრისტიანული სახელმწიფოებისათვის საშიში მოვლენა. რუსეთის სინოდი მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებს ავალებდა სექტანტური ორგანიზაციების მუშაობის აღკვეთას. გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი გრიგორი ბათუმის ოლქის ეკლესიების მმართველს ალექსანდრე რალცევიჩს ცირკულარით ატყობინებდა, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის 1893 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნებადართული იყო ყოველწლიურად, მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის დღეს, იმპერიის ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეეგროვებინათ თანხა პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ. სამღდელოებისგან შემოწირული თანხა უნაწილდებოდათ ობლებსა და ქვრივებს.

ამრიგად, ზემოდ მოტანილი სარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში გურიასა და აჭარაში რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურულ-ინფორმაციული ექსპანსიის არსს, რომელსაც ვერ ურიგდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და აწარმოებდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს.

წარმოგიდგენთ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაგურიის მოსახლეობის მიერ წარმოებული განმათავისუფლებელი ომის ამსახველ სარქივო დოკუმენტებს:

ПОМОЩНИКЪ НАЧАЛЬНИКА
КУТАИССКАГО
ГУБЕРНСКАГО
ЖАНДАРМСКАГО
УПРАВЛЕНІЯ
въ Батумской Области.

«8» декабря 1914 г.

№ 3250

г. Батумъ.

Совершенно секретно.

44

Доношу, что по полученнымъ мною совершенно секретнымъ путемъ свѣдѣніямъ,- въ последнее время турецкое правительство усиленно занято подвозомъ войскъ, орудій и огнестрѣльныхъ припасовъ въ Лазистанъ для отправки таковыхъ на нашу границу.

Когда турецкія войска заняли селенія:-Гонію, Кара-Шалваръ, Махо, Омболо и Джарналъ и мѣстнымъ жителямъ были предложены на вооруженіе германскіе "Маузеры",-последніе отъ восхищенія восклицали:- "да здравствуетъ Султанъ, да здравствуетъ Вильгельмъ".

Занявъ Шавшето-Имерхевскій участокъ турецкія власти обложили всѣ селенія податью.

Высланный въ 1907 году изъ предѣловъ Кавказскаго края въ Сибирь вмѣстѣ съ Асланъ-Бекомъ Абашидзе Алпезъ МИКЕЛАЙШВИЛИ, по свѣдѣніямъ, въ настоящее время проживаетъ въ сел. Учхуби, Озургетскаго уѣзда, въ домѣ Ато ДЖИНЧАРАДЗЕ.

Будучи соціалъ-демократомъ по убѣжденію и желая помѣшать организаціи грузинской дружины,-Микелайшвили, с помощью своихъ двухъ сыновей, перешедшихъ призывной возрастъ, но ускользнувшихъ отъ призыва на военную службу,-ведетъ усиленную пропаганду, стараясь ознакоми[ть] населеніе съ либеральнымъ строемъ германской имперіи и вооружая вмѣстѣ съ тѣмъ мѣстное населеніе противъ Русскаго Правительства настаивая на оказаніи поддержки турецкимъ войскамъ, правительство коихъ является союзникомъ Германіи.

Съ этой цѣлью, яко-бы, въ большомъ количествѣ въ свое время были распространены по многимъ селеніямъ Гуріи прокламаціи. Въ этой разброскѣ принималъ участіе житель сел. Туабзу Викторъ ГЛОНТИ. О разброскѣ этихъ прокламацій писалось, недѣли три тому назадъ, въ нѣкоторыхъ грузинскихъ газетахъ.

Подполковникъ Гаврилов